

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES

675 is АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

2000

მ ა წ ბ ე

PROCEEDINGS

ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია

ECONOMIC SERIES

СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ტომი
volume
TOM

8

2000

№3-4

თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია

ვ. პაპავა (მთავარი რედაქტორი), ა. ადვაძე, თ. ბერიძე, პ. გიორგაძე,
ა. კურატაშვილი, ი. მესხია, ნ. ბაიჭაძე, რ. მითაიშვილი, ა. სილაგაძე,
თ. ჩიკვაიძე, ლ. ჩიქავა, გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
მ. ჯიბუტი

EDITORIAL BOARD

V. Papava (Editor-in-Chief), V. Advadze, T. Beridze, L. Chikava, T. Chikvaidze,
M. Djibuti, H. Giorgadze, A. Kuratashvili, Y. Meskhia, R. Mitaishvili, N. Paichadze,
A. Silagadze, G. Tsereteli (Deputy Editor-in -Chief)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В. Г. Папавა (главный редактор), В. С. Адвадзе, Т. А. Беридзе,
Г. Г. Гиоргадзе, М. Ч. Джибути, А. А. Кураташвили, Я. Е. Месхия,
Р. Л. Миташвили, Н. Н. Паичадзе, А. Н. Силагадзе, Г. Ш. Церетели (зам.
главного редактора), Л. Л. Чикава, Т. Н. Чикваидзе

380007, თბილისი, კიკოძის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ტელ. (8832) 996-853, ფაქსი: (8832) 998-389
ელექტრონული ვერსია <http://georgia-gateway.org/matsne/>

Gugushvili Institute of Economics, The Georgian Academy of Sciences,
14, Kikodze street, Tbilisi, 380007, Georgia
tel: (8832) 996-853, Fax: (8832)998-389
Electronic version <http://georgia-gateway.org/matsne/>

Грузия 380007, Тбилиси ул. Кикодзе, 14
Институт Экономики им. П.Гугушвили АН Грузии
тел. (8832)996-853, факс (8832)998-389
Электронная версия <http://georgia-gateway.org/matsne/>

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

მ ა ს ბ ე
PROCEEDINGS
ИЗВЕСТИЯ

მეცნიერების სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი 8 N 3-4

volume 8 N 3-4

ТОМ 8 N 3-4

ჟურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში
The journal is established in October, 1992
Журнал основан в октябре 1992 г

გამოდის წელიწადში 4-ჯერ
The journal is published 4 times a year
Выходит 4 раза в год

თბილისი “მეცნიერება”
TBILISI “METSNIEREBA”
ТБИЛИСИ “МЕЦНИЕРЕБА”
2000

1998-99 წლების სავალუტო კრიზისი საქართველოში

მერაბ კაკულია

საქართველოს ეროვნული ბანკი
გ. ლენინის ქ. 3/5, თბილისი,
380005, თბილისი
შემოვიდა 2000 წლის 4 აპრილს

რეზიუმე. სავალუტო კრიზისი საქართველოში დაიწყო 1998 წლის სექტემბერში და თითქმის 9 თვე გაგრძელდა. ეს იყო გაჭიანურებული სტრუქტურული კრიზისი, რომლის შედეგადაც ლარმა თავისი ნომინალური ღირებულების თითქმის ნახევარი დაკარგა.

სავალუტო კრიზისის ძირითად მაპროვოცირებელ ფაქტორს წარმოადგენდა რუსული რუბლის დევალვაცია 1998 წლის აგვისტოში, რომელმაც გამოიწვია ლარის რეალური გაცვლითი კურსის მკვეთრი ზრდა საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ეროვნული ვალუტის მიმართ.

მიუხედავად რუსეთთან სავაჭრო პირობების გაუარესებისა, საქართველოს ხელისუფლებამ და ეროვნულმა ბანკმა არ დაუშვეს ლარის ნახტომისებური დევალვაცია და მას მცოცავი დევალვაციის ტაქტიკა ამჯობინეს, რომელიც არ გამორიცხავდა ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების კრიტიკულ დონემდე შემცირების შემთხვევაში საბაზრო ინტერვენციების შეწყვეტას ეროვნული ბანკის მხრიდან.

მცოცავი დევალვაციის ტაქტიკის რეალიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდა ინფლაციური ეფექტებისა და საბანკო სექტორის სისტემური კრიზისის თავიდან აცილება, თუმცა მკვეთრად შემცირდა საქართველოს საერთაშორისო რეზერვების მოცულობა. ამის გათვალისწინებით ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა საბაზრო ინტერვენციები, რითაც დამთავრდა სავალუტო კრიზისის პირველი ფაზა.

მცურავ კურსზე გადასვლა 1998 წლის დეკემბერში დაემთხვა ბიუჯეტის დეფიციტის მონეტიზაციას საგადამხდლო ბალანსის ფინანსური ანგარიშის არხებით შემოსული უცხოური ვალუტის ხარჯზე. ინტერვენციების არარსებობის პირობებში ამას მოჰყვა უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ერთბაშად დიდი ზრდა, რომლის შედეგად ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი კვლავ მკვეთრად დაეცა. სავალუტო კრიზისი საქართველოში ახალ ფაზაში შევიდა, რასაც მნიშვნელოვანმა სეზონურმა ცვლილებებმაც შეუწყვეს ხელი. შიდა სავალუტო ბაზრის კონიუნქტურის სტაბილიზაცია მხოლოდ 1999 წლის მაისში მოხდა.

* * *

1998-1999 წლების სავალუტო კრიზისმა თავის დროზე დიდი პოლიტიკური ენებათაღელვა გამოიწვია, რამაც ხელი შეუშალა მის ობიექტურ, მეცნიერულ შესწავლას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სავალუტო კრიზისული მოვლენების შესახებ მოსაზრებები ხშირ შემთხვევაში არ გასცილებია საგაზეთო, გნებათ სატელევიზიო პუბლიცისტიკის ჩარჩოებს და შედარებით ნაკლებად აისახა სამეცნიერო ლიტერატურაში. დღეისათვის ხელთა გვაქვს სულ რამდენიმე გამოკვლევა, რომელიც უშუალოდ ეხება სავალუტო კრიზისის მაპროვოცირებელ ფაქტორებსა და მისი განვითარების თავისებურებებს საქართველოში. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ნაშრომებში ჩამოყალიბებულ შეხედულებათა სპექტრი საკმარისად ფართოა იმისათვის, რათა მოხდეს მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა და ზოგიერთ შემთხვევაში პოლარიზაციაც კი.


1. სავალუტო - კრიზისული პერიოდი

სავალუტო კრიზისის პერიოდის იდენტიფიკაციისათვის უნდა გავერკვეთ თვით ამ ცნების შინაარსში. სავალუტო კრიზისი წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის შიდასავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დეფორმაციას, რომელიც ცენტრალური ბანკის სავალუტო რეზერვების მკვეთრი შემცირების კვალობაზე, ან მის გარეშე, ახდენს ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსის მიღწეულ პარიტეტზე სპეკულაციური შეტევის პროვოცირებას, რასაც მოჰყვება სავალუტო კრაზი. ამ უკანასკნელის ქვეშ იგულისხმება ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსის დაცემა 25%-ით და მეტით. მოცემული განმარტების მიხედვით, სავალუტო კრიზისი იწყება უცხოური ვალუტის მწვავე დეფიციტით, რომელიც ქვეყანაში ფიქსირებული, ან მართვადი გაცვლითი კურსის რეჟიმის მოქმედების პირობებში იფარება ცენტრალური ბანკის სავალუტო მარაგების ხარჯზე. მათი ამოწურვის კვალობაზე ძლიერდება აუიოტაჟი შიდასავალუტო ბაზრის ოპერატორებს შორის, რომელიც საბოლოო ჯამში, გადაიზრდება დევალვაციაში, ანუ დროის შედარებით ვიწრო შუალედში ნომინალური გაცვლითი კურსის ძალზედ მკვეთრ ვარდნაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავალუტო კრიზისის უპირველესი სიმპტომია მოთხოვნის ერთბაშად დიდი ზრდა შიდასავალუტო ბაზარზე, რომელიც ფიქსირებული, ან მართვადი კურსის რეჟიმის ფარგლებში მყისიერად აისახება ცენტრალური ბანკის საბაზრო ინტერვენციების დინამიკაში. ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში (იხ. გრაფიკი №1) კარგად ჩანს, რომ 1998 წლის პირველ რვა თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული აშშ დოლარის გაყიდვები, სეზონური ფაქტორის გათვალისწინებით, ძირითადად სტაბილური იყო და არ ავლენდა რაიმე განსაკუთრებულ დაწოლას ბაზარზე. ინტერვენციების

მოცულობა ერთბაშად გაიზარდა სექტემბერში, როდესაც ეროვნულმა ბანკმა თითქმის იმდენივე ვალუტა გაყიდა, რამდენიც წინა 5 თვის განმავლობაში. სავალუტო რეზერვების ინტენსიური ხარჯვა გაგრძელდა ინტერვენციების სრულ შეწყვეტამდე იმავე წლის 7 დეკემბერს. ამ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა საერთო ჯამში ბაზარზე 60,3 მლნ. აშშ დოლარი გაყიდა, რაც თითქმის 10 მლნ. აშშ დოლარით მეტია, ვიდრე წინა 8 თვეში გაყიდული ვალუტის საერთო ოდენობა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სავალუტო-კრიზისული დაწოლა ბაზარზე 1998 წლის სექტემბერში დაიწყო.

გრაფიკი 1.



რადგანაც, საქართველოში იმხანად მოქმედი მართვადი გაცვლითი კურსის რეჟიმი ფიქსირებულისაგან განსხვავებით, ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსის არსებული პარიტეტის მნიშვნელოვანი კორექტირების საშუალებას იძლევა, სავალუტო კრიზისის განვითარება საქართველოში 1998 წელს გარკვეულწილად საკურსო თანაფარდობის ცვლილებაშიც გამოვლინდა. თუ იმავე წლის პირველ 8 თვეში 1 აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსი სულ რაღაც 5 თეთრით შემცირდა, სექტემბრიდან მოყოლებული დეკემბრის ბოლომდე ეროვნული ვალუტა 45 თეთრით, ანუ 33,3%-ით გაიზარდა (იხ. გრაფიკი № 2).

მიუხედავად საკურსო ნიშნულის ასეთი სერიოზული ცვლილებისა, მთელი ამ ხნის მანძილზე არ განელებულა აუციტაჟური მოთხოვნა შიდასავალუტო ბაზარზე. პარადოქლურად მკვეთრად დაეცა კომერციული ბანკების მიერ აშშ დოლარების

გაყიდვათა მოცულობა, როგორც თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, ასევე ბირჟის გარეთა ბაზარზე. თუ თბსბ-ზე კომერციული ბანკები იენის-ავვისტოს თვეში საშუალოდ 3,7 მლნ. აშშ დოლარს ყიდდნენ, სექტემბერ-ნოემბერში მათი გაყიდვების საშუალოთვიურმა მაჩვენებელმა 1 მლნ. აშშ დოლარსაც კი ვერ მიაღწია. კომერციული ბანკების, როგორც გამყიდველების აქტიურობამ მკვეთრად იმატა დეკემბერში, როდესაც მათ 10 მლნ. აშშ დოლარზე მეტი გაყიდეს [1, გვ. 56]. უნდა ვივარაუდოდ, რომ 1998 წლის დეკემბერში, მას შემდეგ რაც ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა ინტერვენციები თბსბ-ზე, გამოიკვეთა შიდასავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის აღდგენის რეალური ტენდენცია, რომლის გაძლიერებასაც ხელი შეუწყო მიმოქცევაში ლარის მასის შემცირებამ სექტემბერ-ნოემბერში, აგრეთვე სეზონურმა ფისკალურმა დაწოლამ. ყოველივე ამის შედეგად, დეკემბრის ბოლო დეკადაში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი რამდენადმე დასტაბილურდა და 1 აშშ დოლარმა 1,75-1,80 ლარი შეადგინა. სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით დამკვიდრდა ლიტერატურაში აზრი, რომ სავალუტო-კრიზისული პერიოდის დასრულება დაემთხვა კალენდარული წლის ბოლოს, რაც ჩვენის აზრით, არ შეესაბამება სინამდვილეს.


ლარის კურსის სტაბილიზაცია 1998 წლის დეკემბრის ბოლოს დროებით ხასიათს ატარებდა. საკმარისი იყო ახალი წლის დასაწყისში მოხსნილიყო ფისკალური წნეხი და დაწყებულყო ბავაჭრო ბალანსის სეზონური გაუარესება, რომ კვლავ მკვეთრად დაიძვრა ერთობ მიყვამ წონასწორობა შიდა სავალუტო ბაზარზე. ამას დაემატა საგადასხდელი ბალანსის ფინანსური ანგარიშის გააქტიურება, რომლის არხებითაც 1998 წლის ბოლო დღეებში ქვეყანაში ბიუჯეტის სასარგებლოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოური ვალუტა შემოვიდა, რომლის მონეტიზაციის ეფექტის განეიტრალება თავისუფალი მცურავი კურსის პირობებში ეროვნულმა ბანკმა ვეღარ შეძლო. ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსი 1999 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული 6 მარტამდე 65 თეთრით, ანუ 37%-ით დაეცა (იხ. გრაფიკი № 2).

ლარის დეველვაციის ახალ ტალღას თან სდევდა მძაფრი სპეკულაციური აქიოტაჟი, რომელიც ეროვნული ვალუტის ესოდენ მასშტაბურმა გაუფასურებამაც კი ვერ დააცხრო. სამი თვის მანძილზე, 1999 წლის იანვარ-მარტში კომერციულმა ბანკებმა თბსბ-ზე 13,4 მლნ. აშშ დოლარი გაყიდეს, მაშინ როდესაც ბირჟის გარეთა სავალუტო ბაზარზე 129,7 მლნ. აშშ დოლარი შეიძინეს [1, გვ. 56, 60] ლარის საბოლოო სტაბილიზაცია მოხდა იმავე წლის მაისში, რის შემდეგაც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლარში 1,9-2,0 ლარს შორის მოექცა.


ამრიგად, 1998 წლის სავალუტო კრიზისი დაიწყო იმავე წლის სექტემბერში და დასრულდა 1999 წლის მაისში, როდესაც შიდასავალუტო ბაზარზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ახალი საკურსო პარიტეტი, რომლის საზღვრებიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იქნა შენარჩუნებული.

გრაფიკი №2

ღარს ნომინალური ბაცვლითი კურსის მრუდი აშშ დოლართან მიმართებაში (მაისი-დეკემბერი, 1998)



ღარს ნომინალური ბაცვლითი კურსის მრუდი აშშ დოლართან მიმართებაში (იანვარი-აპრილი, 1999 წელი)



—/— სეპ-ის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, №12(22), 20 სეპ-ის ოპერატიული მონაცემები.

2. სავალუტო კრიზისის მაპროვოცირებელი ფაქტორი.

ეს საკითხი ეკონომიკურ ლიტერატურაში შედარებით უკეთ არის შესწავლილი. დღეს უკვე აღარავინ დაობს იმაზე, რომ სავალუტო კრიზისის განვითარება 1998-99 წლებში მრავალფაქტორიანი პროცესი იყო, თუმცა ცალკეული ფაქტორების როლი კრიზისული მოვლენების განვითარებაში ცხადია არ შეიძლება ყოფილიყო ერთნაირი. პროფესორი იმესხია გამოყოფს “ფინანსური კრიზისის” (იგულისხმება ლარის დევალვაცია) საგარეო და საშინაო ფაქტორებს. საგარეო ფაქტორებს იგი მიაკუთვნებს საქართველოს “მეტისმეტ” დამოკიდებულებას უცხოეთის ეკონომიკისადმი, რომელიც ხასიათდება საგარეო ვაჭრობის არახელსაყრელი სტრუქტურითა და დინამიკით, უცხოური ინვესტიციების ნაკლები ეფექტურობით, დოლარინაცის მაღალი დონითა და საგარეო ვალდების არარაციონალური აკუმულირებით [2, გვ. 82-94]. სავალუტო კრიზისის საშინაო ფაქტორებიდან, რომელთაც იმესხია ასახელებს, ჩვენის აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა ორი: ეკონომიკის მონეტიზაციის შეუსაბამობა ფაქტიურ ეკონომიკურ ზრდასთან, რამაც გამოხატულება ჰპოვა კრიზისამდელ დეფლაციაში და საბიუჯეტო კრიზისი [2, გვ. 96].

დაახლოებით მსგავს შეხედულებებს ავითარებს დოც. მ. გვედესიანი. იგი დარწმუნებულია, რომ “1998 წლის შემოდგომაზე დაწყებული კრიზისული პროცესები” საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული “მაკრო მონეტარული კურსის” შედეგია. სწორედ ლარის შემოდების შემდგომ განხორციელებულმა “ემისიის შეზღუდვის” პოლიტიკამ ჩამოაყალიბა. დასახელებული ავტორის აზრით ინფლაციისა და დევალვაციის ისეთი თანაფარდობა, “რომელიც ფულის რეფორმიდან სამი წლის მანძილზე ხელს უწყობდა იმპორტს, სულ უფრო აძნელებდა ექსპორტს. აუარესებდა სამამულო წარმოების პირობებს, კიდევ უფრო ხელოვნურად ამცირებდა მის ისედაც მცირე კონკურენტუნარიანობას” [3, გვ. 112-114]. ფაქტიურად იგივე აზრს იზიარებს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. არჩვაძე [4, გვ. 136-141].

სრულიად საპირისპირო პოზიციაზე დგანან დოც. რ. გოცირიძე და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ექსპერტები, რომელთა მიერ მომზადებული ვრცელი გამოკვლევა წარმოადგენს 1998 წელს დაწყებული სავალუტო კრიზისის საგანგებოდ შესწავლის ჯერჯერობით ერთადერთ ცდას. გამოკვლევას ლიტმოტივად გასდევს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლარის დევალვაცია “უფრო მეტად შიდა ფაქტორებით იყო გამოწვეული”. გარეშე ფაქტორებმა, კერძოდ “რუსეთის კრიზისმა მხოლოდ დამამძიმებელი როლი ითამაშა” [5, გვ. 45]. შიდა ფაქტორებიდან სავალუტო კრიზისის ძირითად მიზეზად განიხილება “საბიუჯეტო კრიზისი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდაში გამოვლინდა და განაპირობა მთავრობის ხარჯების დაფინანსება ეროვნული ბანკის მიერ”. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბიუჯეტო ოფისი სავალუტო კრიზისული მოვლენების განვითარების უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევს ბიუჯეტის დეფიციტის

მონეტიზაციას ეროვნული ბანკის ემისიური კრედიტების ხარჯზე, რომელიც “ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის ყველაზე უარეს ფორმადაა მიჩნეული” [5, გვ. 78-81].

ამრიგად, 1998-99 წლების სავალუტო კრიზისის ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორების შესახებ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე გამოიკვეთა ორი კონცეპტუალური პოლუსი. პირველი კრიზისის მთავარ წინამძღვარს ხედავს ეკონომიკის მონეტიზაციის დონის სიმცირეში, რომელიც იწვევს ლარის რეალურ სიძვირეს და ქვეყნის კონკურენტიანობის შესუსტებას. მეორე კი პირიქით, სავალუტო კრიზისული მოვლენების წამყვან მაპროვოცირებელ ფაქტორად განიხილავს მიმოქცევაში ჭარბი ლარის არსებობას. საერთო ამ ორ პოზიციას აქვს ის, რომ როგორც ერთი, ისე მეორე კრიზისის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ანიჭებენ ქვეყნის შიდა ფაქტორებს და გარეშე ეკონომიკურ შოკს მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებად განიხილავენ. არსებობს ლარის მკვეთრი დევალვაციის მამოძრავებელი ძალების შესახებ სხვა შეხედულებაც, რომლის თანახმადაც, სავალუტო კრახი განაპირობებს უპირატესად გარეშე ფაქტორებმა, კერძოდ კი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის – რუსეთის ეროვნული ვალუტის უპრეცედენტო დევალვაციამ, რომლის უაღრესად უარყოფითი ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე გადაეხლართა ქვეყნის შიგნით უკვე ქრონიკულად ქცეულ ფისკალურ დეფიციტს [6, გვ. 139-143]. კრიზისის ფაქტორული ანალიზის ხედვებზე პოლიტიზირების გამო, ამგვარმა მიდგომამ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დაიმკვიდრა ადგილი სამეცნიერო ლიტერატურაში. მოვლენების თანმიმდევრულმა შესწავლამ კი, როგორც კრიზისულ, ასევე პოსტკრიზისულ პერიოდში, ცხადყო, რომ სწორედ უძლიერესი საგარეო-ეკონომიკური შოკი იყო 1998-99 წლების სავალუტო კრიზისის ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორი.

სანამ უშუალოდ ამ თეზისის დასაბუთებას შევედგებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაეუბრუნდეთ ზემოთ აღნიშნულ შეხედულებებს. დავიწყოთ თუნდაც სავალუტო-კრიზისული მოვლენების ემისიური ახსნით, რომელიც საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა განავითარა თავის გამოკვლევაში. ამ მოსაზრების ავტორების ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ 1998 წელს საქართველოში მკვეთრად გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტი, რაც დაკავშირებული იყო, ერთის მხრივ, სახელმწიფო შემოსავლების გეგმის “კატასტროფულ ჩავარდნასთან”, ხოლო, მეორეს მხრივ, საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან შეთანხმებული ფინანსური პროგრამების ფარგლებში განსაზღვრული საგარეო დაფინანსების მიუღებლობასთან. ყოველივე ამის გამო ერთბაშად გაიზარდა მთავრობის ნასესხობა ეროვნული ბანკიდან, რასაც მოჰყვა მიმოქცევაში ფულის მასის შესაბამისი მატება და მოთხოვნა-მიწოდების დეფორმაცია შიდასავალუტო ბაზარზე [5, გვ. 78-81]. სავალუტო კრიზისის ფისკალურ-მონეტარული წინამძღვრების ჩამოყალიბების წარმოდგენილი სქემა ძალიან ჰგავს ეროვნული ვალუტის კრიზისული დევალვაციის ე.წ. კანონიკურ მოდელს,

რომელიც შეიმუშავა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა პოლ კრუგმანმა [7, გვ. 2-3]. ამ მოდელს ფართოდ იყენებენ სავალუტო კრიზისების შესწავლისათვის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ამდენად, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პოზიცია საკვლევი თემისადმი ტრადიციულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს. სხვა საკითხია, რამდენად დასტურდება აღნიშნული შეხედულება ფაქტიური მონაცემებით.

როდესაც ეროვნული ბანკის კრედიტის ხარჯზე ბიუჯეტის დეფიციტის მონეტიზაციაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ აღნიშნული კრედიტის მოცულობა, როგორც წესი, არ ემთხვევა ფულადი მასის აგრეგატების ზრდის რაოდენობრივ მაჩვენებელს. საქმე იმაშია, რომ ხდება მთავრობის ნასესხობის განეიტრალება, რომელიც სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, თუ მთავრობამ აიღო X რაოდენობის სესხი ეროვნულ ბანკში, ხოლო საგარეო ვალების მომსახურებისათვის, რომელიც უცხოურ ვალუტაში ხორციელდება, მას ესაჭიროება რაოდენობის ლარი იგივე ეროვნულ ბანკში აშშ დოლარებში გადაცვლისა და დანიშნულებისამებრ გადასარიცხად, ქვეყნის შიგნით მიმოქცევაში X - რაოდენობის დამატებითი ლარი გავა. საგარეო ვალების მომსახურების გარდა არსებობს მთავრობის ნასესხობის განეიტრალების სხვა საშუალებებიც, როგორებიცაა შიდა ვალის, კერძოდ ეროვნული ბანკის მიმართ მთავრობის დაგროვილი დავალიანების მომსახურება, ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის გაყიდვა საბაზრო ინტერვენციების გზით და სხვა. სამწუხაროდ, საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევაში აღნიშნული გარემოება არ არის მიღებული მხედველობაში, ამიტომ გადაჭარბებულად არის შეფასებული ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად ეროვნული ბანკის კრედიტის გამოყენების უარყოფითი მონეტარული ეფექტი. მაგალითად, საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევაში ეკითხულობთ, რომ 1998 წლის ივლისში ეროვნულმა ბანკმა მთავრობაზე სესხის სახით გასცა 44,4 მლნ. ლარი და “როგორც მოსალოდნელი იყო, მიმოქცევაში მისი გაშვებიდან 4 თვის შემდეგ, ეს მოვლენა ლარის კურსის გაუფასურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა” (5. გვ.70). ეროვნულმა ბანკმა მართლაც გასცა მთავრობაზე აღნიშნულ პერიოდში მითითებული რაოდენობის კრედიტი, მაგრამ იმავე თვეში ევროგაერთიანების მიმართ საქართველოს ვალების დარეგულირების მიზნით 120,2 მლნ. ლარი დაიხარჯა, რის სანაცვლოდაც ევროგაერთიანებამ იმავე თვეში 89,3 მლნ. ლარის ახალი კრედიტი გაუხსნა საქართველოს. ამდენად, ივლისში საგარეო ვალების მომსახურებას 30,9 მლნ. ლარი მოხმარდა, ამას დაემატა კიდევ 5,4 მლნ. ლარი თვით ეროვნული ბანკისათვის მის მიმართ მთავრობის დაგროვილი დავალიანების მომსახურებისათვის გადახდილი თანხა. საბოლოო ჯამში იმ 44,4 მლნ. ლარის გრძელვადიანი სესხიდან, რომელიც 1998 წლის ივლისში გაცა მთავრობაზე სულ რაღაც 6,7 მლნ. ლარიდა დარჩა (იხ. ცხრილი 1). ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ რაოდენობის თანხა არათუ 4 თვის შემდეგ, ერთი თვის შემდეგაც ევრაერთიარ

სერიოზულ ძვრებს ვერ გამოიწვევს შიდასავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაზე. ზემოთ მოტანილ ცხრილში საკმარისად ნათლად ჩანს, რომ უშუალოდ წინაკრიზისული სამი თვის განმავლობაში არც ფართო ფულის (M2) და არც სარეზერვო ფულის (M0) აგრეგატები რაიმე მნიშვნელოვან დინამიკას არ ავლენდნენ. იგივე შეიძლება ითქვას წინაკრიზისულ რვა თვეზეც, რომლის განმავლობაშიც ფართო ფული (M2) საერთოდ არ გაზრდილა, ხოლო სარეზერვო ფული (M0) 4,7 მლნ. ლარით გაიზარდა (იხ. ცხრილი №1). აღარაფერს ვამბობთ უშუალოდ კრიზისულ პერიოდზე (დეკემბრის ბოლომდე), როდესაც მასობრივმა ინტერვენციებმა ემისიური ეფექტი მკვეთრად უარყოფით მაჩვენებელზე გაიყვანეს.

ამრიგად, მოსაზრება იმის შესახებ, რომ “ლარის დეველუაციის პროცესს საფუძველი საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისმა დაუდო” (5. გვ. 78), ჩვენი აზრით ნაკლებად სარწმუნოა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საბიუჯეტო კრიზისს არავითარი წვლილი არ მიუძღვის სავალუტო-კრიზისული მოვლენების განვითარებაში. აღნიშნული როლი ორგეგარად გამოვლინდა. პირველი იყო ის, რომ საგადასახადო ადმინისტრირების არაეფექტურობა, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა ლარზე მოთხოვნის, ანუ უცხოური ვალუტის მიწოდების დინამიკაზე, რადგანაც დოლარიზებულ გარდამავალ ეკონომიკაში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისათვის მსხვილი გადამხდელეების მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც წესი, უცხოური ვალუტა გადააჰყავს ეროვნულ ვალუტაში. მეორე კი იმაში მდგომარეობდა, რომ ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში, როდესაც მთავრობა ვერ ახერხებს მოსახლეობის ფართო მასებისათვის ხელფასებისა და პენსიების, აგრეთვე სხვა სოციალური გადახდების გასტუმრებას, ყალიბდება ეროვნული ვალუტის სტაბილურობის მიმართ უნდობლობის ძლიერი ფსიქოლოგიური ფონი. ეს უკანასკნელი ნოყიერ ნიადაგს ქმნის შიდასავალუტო ბაზრის ოპერატორების მხრიდან სპეკულაციური შეტევების განსახორციელებლად.

ამდენად, არ შეიძლება საბიუჯეტო კრიზისის როლის უგულვებელყოფა 1998-99 წლების სავალუტო კრიზისის ესკალაციაში, თუმცა ამ ფაქტორს ვერ მივიჩნევთ ლარის ესოდენ ღრმა დეველუაციის ძირითად მაპროვოცირებელ გარემოებად.

სულ სხვა თეორიულ პოსტულატებს ეფუძნება შეხედულება, რომლის თანახმადაც 1998 წელს საქართველოში დაწყებული სავალუტო კრიზისი ძირითადად გამოიწვია არა ემისიის სიჭარბემ, არამედ პირიქით, მისმა შეზღუდვამ, რომელმაც განაპირობა ლარის “მოჩვენებითი” სტაბილურობა და მისი სიძვირე [3, გვ. 112-113]. “რა ხან “მაგარი ლარი” – წერს დოცენტი მ. გველესიანი - თვითმიზნად გაიხადა, ხელისუფლება დიდხანს ხუჭავდა თვალს ამ ფაქტორებზე (იგულისხმება ლარის კურსის დაწვევის ტემპის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა ინფლაციის ტემპთან შედარებით და ამის უარყოფითი გავლენა ქვეყნის საგაჯრო ბალანსზე - მ.კ.) და ამით გარდუვალს

ფულის აგრეგატების ცვლილება 1998 წელს

ცხრილი 1

84

შარკვენებლები	1997 დეკემბერი	1998 წელი								ცვლილება				ცვლილება წლის დასაწყისიდან	
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი		
1 მთავრობაზე გაცემული კრედიტი ქრონული ბანკიდან		12.2	11.7	9.5	14.5	6.1	27.0	44.4	-2.8	122.5	12.5	8.4	5.5	-20.1	128.8
2 მიუკვრეტის დეფიციტის დაყენება საგარეო წარმოები		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	69.3	15.0	104.3	0.0	0.0	0.0	0.0	104.3
3 სესხის მოცულობა მიუკვრეტში ვადობლივი თანხა		6.0	0.0	35.54	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	41.5	0.0	0.0	0.0	0.0	41.5
4 ბანკების წინადა დავალიანება		-1.0	0.0	-0.1	0.3	0.0	-0.6	-1.1	0.7	-1.7	0.7	4.6	-1.8	4.8	3.1
5 საგარეო ვალის მოშახურება		0.0	0.4	0.0	0.0	0.0	0.0	120.2	1.5	122.1	0.0	0.3	0.2	0.0	122.6
6 მთავრობის მიერ ქრონული ბანკის სესხის მოშახურება		16.3	5.8	21.6	3.9	1.9	7.9	5.4	5.5	68.3	2.5	5.6	6.5	7.3	90.2
7 თანხაზე ინტერვენციების შედეგად მიმოქცევიდან ამოღებული ლარები		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
8 მთავრობის ანგარიშებზე თანხები		0.4	1.5	-0.6	0.5	-3.9	1.7	0.5	-1.7	-1.5	-3.0	5.1	2.0	15.3	17.9
9 ნეტო ცვლილება (1+2+3+4)-(5+6+7+8)		0.6	3.9	24.0	10.4	8.0	16.8	6.5	7.5	77.7	13.8	2.0	-5.0	-37.9	47.0
10 მთავრობაზე გაცემული სესხებით რიცხული დავალიანება	412.7	424.9	436.6	446.1	460.6	466.7	493.7	538.1	535.2	122.5	547.8	556.2	561.6	541.5	128.8
11 ფართი ფული M ₂	295.2	274.3	272.1	269.7	287.4	280.2	281.7	291.1	294.2	-1.0	252.2	228.8	210.3	261.1	-34.1
12 ნაღდი ფული მიმოქცევაში	254.8	231.3	227.3	229.0	237.6	239.0	236.8	246.9	250.2	-4.3	211.8	195.5	179.6	222.0	-32.6
13 სარეზერვო ფული	277.1	259.9	254.8	259.8	271.0	266.6	272.0	278.1	261.8	4.7	245.7	232.9	208.0	259.7	-17.3
სავალდებულო რეზერვები	15.7	14.9	17.0	17.4	17.1	16.8	17.9	18.3	18.3	2.7	24.3	22.6	22.0	18.0	2.4
კანონების საკორესპონდენტო ანგ. კრ. ბანკები	6.9	13.6	10.5	13.4	16.3	10.8	17.4	12.9	13.3	6.4	9.6	14.8	6.4	19.7	12.8
14 მთავრობის ანგარიშებზე თანხები	15.7	16.2	17.7	17.1	17.6	13.7	15.4	15.9	14.2	-1.5	11.2	16.4	18.4	33.6	17.9
15 ბანკების წინადა დავალიანება	3.5	2.5	2.5	2.4	2.7	2.7	2.2	1.1	1.7	-1.7	-1.0	3.6	1.8	6.6	3.1

1/ მონაცემები ურჩობაში საქართველოს ქრონული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენის ინფორმაციის,
ასევე გამოყენებულია ქრონული ბანკის ობერსტიული მონაცემები.

ხდიდა სავალუტო კრიზისს” [3, გვ. 113]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეროვნული ვალუტის ნომინალური კურსის სტაბილურობა, დასახელებული ავტორის აზრით, ზომიერი ინფლაციის პირობებშიც კი, ხელს უწყობდა საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის გაღრმავებას და ბოჭავდა ეკონომიკის რეალურ სექტორს [4, გვ. 136-141].

იმისათვის, რომ შეეფასოთ ამ მოსაზრების ჭეშმარიტება, უნდა ვისარგებლოთ ლარის რეალური გაცვლითი კურსის ინდექსით, როგორც აშშ დოლარის, ასევე საქართველოს ორი წამყვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის – რუსეთისა და თურქეთის ეროვნული ვალუტების მიმართ. ეს საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ ჩვენი ეროვნული ვალუტის რეალური სიძვირის ზომის და მისი სავაჭრო და საზოგადოებრივ საგადასხდელო ბალანსზე ზემოქმედების შესახებ წინა და პოსტკრიზისულ პერიოდებში. მეტი თვალსაჩინოების მიზნით აღნიშნული ინდექსების მრუდები ჩვენ ერთ სიბრტყეზე მოვათავსეთ.

ლარის რეალური გაცვლითი კურსის ინდექსის დინამიკა წინაკრიზისულ პერიოდში 1995 წლის დეკემბრიდან 1998 წლის სექტემბრამდე, სულ მცირე ორი ემპირიული დასკვნის საფუძველს იძლევა (იხ. გრაფიკი №3).

პირველი, მიუხედავად იმისა, რომ 1996 წლის მეორე ნახევარში რუსული რუბლის მიმართ ლარი რეალურ გამოხატულებაში საგრძნობლად გაძვირდა, მომდევნო 1997 წლიდან აშკარად გამოიკვეთა მისი რეალური კურსის ინდექსის შემცირების ტენდენცია, რომელიც იმავე წლის მეორე ნახევარში 1995 წლის დეკემბრის დონეს დაუბრუნდა. ამის შემდეგ კრიზისამდე ჩვენი ეროვნული ვალუტა ფაქტიურად არ გაძვირებულა, პირიქით 1998 წლის აპრილიდან აგვისტოს ბოლომდე გაიფხვრა კიდევ. აქედან გამომდინარე “მაგარი ლარის” კონცეფცია, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, არ გამოდგება რუსეთის ფედერაციის მიმართ საქართველოს ეკონომიკის ნაკლები კონკურენტუნარიანობის დასამტკიცებლად. ამის საჭიროება არც არსებობს, რადგანაც საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა 1996-97 წლებში, აგრეთვე 1998 წლის პირველ 8 თვეში აშკარად ავლენს პოზიტიურ ძვრებს საქართველოს სასარგებლოდ. 1996 წელთან შედარებით, 1997 წელს ექსპორტი რუსეთში 21,2%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი მცირედით შემცირდა კიდევ. 1998 წელს, რომ გაგრძელებულიყო წინა წლებში, თუნდაც ამ წლის პირველ რვა თვეში, ჩამოყალიბებული ტენდენციები, ექსპორტი კიდევ უფრო შთამბეჭდავად გაიზარდებოდა. რაც შეეხება იმპორტს, მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლის სექტემბერ-დეკემბერში იგი მკვეთრად

* რეალური გაცვლითი კურსის ინდექსი გამოითვლება ფორმულით: $RER = 1/NER \times I_1/I_2$, სადაც RER არის რეალური გაცვლითი კურსის ინდექსი, NER – ნომინალური გაცვლითი კურსი, ხოლო I_1 და I_2 – სამომხმარებლო ფასების ინდექსები მოცემულ ქვეყანასა და მეორე ქვეყანაში.

გრაფიკი 3



გაიზარდა რუსეთიდან საქართველოში, მისი წლიური მაჩვენებელი 4,3 მლნ. აშშ დოლარით მეტი იყო წინა წელთან შედარებით [8, გვ. 258]. ამრიგად, წინაკრიზისულ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა რუსეთის ფედერაციის მიმართ არ შეიძლება, სავალუტო თვალსაზრისით, ჩაითვალოს არაკონკურენტულად.

მეორე, ლარის რეალური გაცვლითი კურსის ინდექსის მოძრაობა აშშ დოლარის მიმართ შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად განსხვავდება რუსული რუბლის მიმართ მისი დინამიკისაგან, თუმცა წინაკრიზისულ პერიოდში ეს განსხვავება თვალშისაცემი ნამდვილად არ არის. მართალია, 1995 წლის დეკემბერთან შედარებით 1996 წლის დასაწყისში ლარი რამდენადმე გაძვირდა, მაგრამ მალევე დასტაბილურდა გარკვეულ დონეზე და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ვიდრე კრიზისამდე მისი რეალური კურსის დინამიკა 8-10 პროცენტულ პუნქტს არ გასცილებია, პიკებს შორის შუალედებში კი გადახრა საგრძნობლად ნაკლები იყო. რამდენად უარყოფითად იმოქმედა ამან საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე? ცხადია, ლარის თუნდაც უმნიშვნელო გაძვირება დადებით გავლენას ვერ მოახდენდა ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე, მაგრამ ეს გავლენა არ შეიძლება ყოფილიყო მკვეთრად უარყოფითიც. საქმე იმაშია, რომ ლარის რეალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს ვაჭრობისათვის იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობამდე არ ჰქონია ტრადიციული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ქართული ექსპორტი ამ ქვეყნებში უპირატესად ნედლეულით შემოიფარგლება, რომლის დამზადების ფასები ქვეყნის შიგნით იმდენად დაბალია, რომ ლარის “დამძიმებას” 8-10%-ით, არანაირი გავლენის მოხდენა არ შეეძლო მის საქსპორტო ფასზე, ანუ მის კონკურენტუნარიანობაზე ქვეყნის ფარგლებს მიღმა. ლარის გარკვეულ სიძვირეს აშშ დოლარის მიმართ თეორიულად უფრო მეტი ეფექტი შეიძლება ჰქონოდა იმპორტზე აღნიშნული ქვეყნებიდან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ გადახდისუნარიანი მოთხოვნა საქართველოში 1996-98 წლებში ფაქტიურად არ გაზრდილა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რამდენადმე ძვირ ლარს სერიოზული როლი ეთამაშოს უპირატესად სურსათისა და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის წახალისებაში. ყოველ შემთხვევაში იმპორტის დინამიკა 1995-97 წლებში ამას არ ადასტურებს. იმპორტის ზრდის ტემპი იმ ქვეყნებიდან, რომლებიც დსთ-ში არ შედიან 1996 წელს წინა წელთან შედარებით 80%-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც მომდევნო წელს იგი განახევრდა, 1998 წელს კი იმპორტი აღნიშნული ქვეყნებიდან თითქმის 7%-ით შემცირდა [8, გვ. 261].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ “მაგარი” ანუ “ძვირი ლარის” რაიმე განსაკუთრებული როლი 1998-99 წლების სავალუტო კრიზისის განვითარებაში ფაქტიური მონაცემებით არ დასტურდება. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ლარის რეალური გაცვლითი კურსის ზრდა აშშ დოლარისა და მასზე მიბმული ვალუტების

მიმართ არ იყო იმდენად სერიოზული, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა საქართველოს სავაჭრო ბალანსზე.

3. 1998 წლის სავალუტო კრიზისის თავდაპირველი მექანიზმი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სავალუტო კრიზისული მოვლენები საქართველოში 1998 წლის სექტემბერში დაიწყო, სწორედ ამ დროს აღინიშნა შიდასავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის რღვევა, რომლის სიმპტომები უწინარეს ყოვლისა ბაზრის ბანკოტურ სეგმენტზე - ნაღდი ვალუტის გადამცველი პუნქტების ქცევაში გამოვლინდა. სექტემბრის პირველ შაბათ-კვირას გადამცველმა პუნქტებმა მკვეთრად ასწიეს თავიანთი კოტირებები. 1 აშშ დოლარის შესყიდვის კურსი 1,35 ლარიდან 1,4-1,5 ლარამდე გაიზარდა, გაყიდვის კურსი კი 1,5-1,6 ლარამდე ავიდა. მართალია, ეროვნული ვალუტის საკურსო პარიტეტი 1998 წლის პირველ რვა თვეში საგრძნობლად (3,3 პროცენტით) შემცირდა, მაგრამ ბანკოტური კურსების ესოდენ სწრაფ ვარდნას არავინ მოელოდა.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა რამ გამოიწვია სავალუტო კრიზისის მაინც და მაინც სექტემბერში დაწყება, რატომ არ დაიწყო იგი ადრე, ვთქვათ აგვისტოში, ან კიდევ უფრო გვიან, ნოემბერში? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიუხედავად გართულებული საბიუჯეტო ფონისა, ქვეყნის შიგნით ამ დროისათვის არ არსებობდა სავალუტო ბაზარზე ასეთი მძლავრი დაწოლის მაპროვოცირებელი ფაქტორი, ეს უკანასკნელი ქვეყნის გარეთ უნდა ვეძებოთ. ამგვარ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ეროვნული ვალუტის ღრმა დევალვაცია საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში - რუსეთის ფედერაციაში, რომლის შედეგადაც რუბლმა თავისი ნომინალური ღირებულების 60 პროცენტი დაკარგა* თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ქვეყანაზე მოდიოდა საქართველოს ექსპორტის თითქმის 28 პროცენტი, იმპორტის 20 პროცენტი და ჩვენი ქვეყნის ათობით ათასი რეზიდენტი ეწეოდა რუსეთში სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობას, საკვებით ლოგიკურია რუბლის დევალვაციის განხილვა საქართველოში განვითარებული სავალუტო კრიზისის ძირითად მაპროვოცირებელ ფაქტორად. მითუმეტეს, რომ მსოფლიო პრაქტიკისათვის კარგად არის ცნობილი ე.წ. გადაღინების ეფექტი (სპილდოვერ ეფფექტ), რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ვალუტის დევალვაციას აუცილებლად უნდა მოჰყვეს მეორის საკურსო პარიტეტის შესაბამისი ცვლილება. წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი ქვეყანა მოიპოვებს კონკურენტულ უპირატესობებს, რომელთა რეალიზაცია ადრე თუ გვიან გამოიწვევს საბაზრო წონასწორობის მკვეთრ გარღვევას მეორე ქვეყანაში (9).

სავალუტო კრიზისი რუსეთში 1998 წლის 17 აგვისტოს მოხდა. თუ დავაკვირდებით რუსული რუბლის მიმართ ლარის რეალური

* საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერატიული მონაცემები.

გაცვლითი კურსის ინდექსის დინამიკას (იხ. გრაფიკი 3), ადვილად შევამჩნევთ, რომ სწორედ ამ დროს იწყება ჩვენი ეროვნული ვალუტის სწრაფი რეალური გაძვირება [10]. 1998 წლის სექტემბერში ამ ვალუტის მიმართ ლარის რეალური კურსის ინდექსი აგვისტოსთან შედარებით 47,4 პროცენტით გაიზარდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის ეკონომიკა ბევრად უფრო კონკურენტუნარიანი გახდა საქართველოს ეკონომიკის მიმართ, ვიდრე კრიზისამდე იყო. ამგვარი ვითარების ყველაზე ხილული შედეგი უნდა ყოფილიყო გაიაფებული რუსული იმპორტის მოდენა საქართველოში. თუ ოფიციალური მონაცემებით ვიმსჯელებთ, რომლებიც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გადმოსცა ეროვნულ ბანკს, 1998 წლის სექტემბერში იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში წინა თვესთან შედარებით ფაქტიურად არ გაზრდილა (იხ. ცხრილი № 2), თუმცა დაწოლა სავალუტო ბაზარზე ყველაზე მეტად სწორედ სექტემბერში აღინიშნა (იხ. გრაფიკი №1). უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდა კრიზისის პირველ ეტაპზე განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა:

1) 1998 წლის სექტემბერში მკვეთრად იკლო ქართულმა ექსპორტმა რუსეთში. წინა თვესთან შედარებით მისი მოცულობა 3-ჯერ და მეტად შემცირდა (იხ. ცხრილი №2). კიდევ უფრო შთამბეჭდავია 1998 წლის სექტემბერში საქართველოდან რუსეთში ექსპორტის კლება 1997 წლის სექტემბრის დონესთან შედარებით - 4-ჯერ და მეტად. ექსპორტის ყველაზე დიდი ნაკლებობა ოქტომბერში დაფიქსირდა, ნოემბერში - მან რამდენადმე მოიმატა, ხოლო დეკემბერში - სეზონური ფაქტორებისა და ლარის დევალვაციის შედეგად გაორმაგდა ნოემბრის დონესთან შედარებით.

2) 1998 წლის აგვისტოში რუსული რუბლის უპრეცედენტო დევალვაციის შედეგად მკვეთრად გაუარესდა საქართველოს რეზიდენტების მატერიალური მდგომარეობა რუსეთში, რაც მყისიერად დაეტყო მათ მიერ საქართველოში განხორციელებულ დოლარულ ტრანსფერტებს. ზუსტი მონაცემები აღნიშნული ტრანსფერტების დინამიკის შესახებ მართალია არ არსებობს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი მოცულობა სექტემბერში ძალზედ შემცირდა. საქართველოში მომუშავე ეკონომისტის ქრეიგ რ.მაქფისის შეფასებით, რუსეთში მომუშავე საქართველოს რეზიდენტების გადმორიცხებით 1998 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შესაძლოა 100 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა, რაც ჩვენი ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტის 2-3 პროცენტს შეადგენს [11]. ამ პროცესს დიდად შეუწყო ხელი რუსეთის სავალუტო კრიზისის საბანკო კრიზისთან გადახლართვამ. წამყვანი რუსული ბანკების საქმიანობის შეჩერებამ წარმოშვა უცხოური ვალუტის, პირველ რიგში, აშშ დოლარების მწვავე დეფიციტი, რომელმაც კიდევ უფრო შეასუსტა დოლარული ნაკადი საქართველოში.

3) რუბლის კრახს მოჰყვა კროსკურსული თანაფარდობის დარღვევა რუსეთსა და საქართველოს შორის. აშშ დოლარის ფასი რუბლებში საქართველოს სავალუტო ბაზარზე უფრო იაფი აღმოჩნდა ვიდრე რუსეთში. ამის გამო უფრო მომგებიანი გახდა გაუფასურებული რუსული ვალუტის ლარზე გადაცვლა შემდეგ მისი

საქართველო - რუსეთის საგარეო ვაჭრობა

	ექსპორტი, სულ					იმპორტი, სულ				
	1996	1997	1998	1999	2000	1996	1997	1998	1999	2000
იანვარი	1420	2242	2575	1334	2145	1205	12907	11213	12990	1385
თებერვალი	4617	2075	4127	5472	4822	1308	11824	12375	11576	1285
მარტი	11347	2488	5368	2549	6231	1564	12838	12065	14312	1349
აპრილი	6230	3931	5138	2528	6793	903	11026	10131	9509	608
მაისი	2280	7878	4873	2305	6182	826	11698	7945	9387	465
ივნისი	3181	8428	5963	4592	4891	956	10442	6821	9943	659
ივლისი	2698	4803	11106	5784	4225	762	8190	6939	7527	420
აგვისტო	2840	6561	6267	2709	4460	803	9582	7346	5676	358
სექტემბერი	5469	8693	2090	3586	9779	711	5643	7343	5634	412
ოქტომბერი	3956	7865	1391	5491	6285	1320	9753	17469	10591	706
ნოემბერი	5998	6088	2056	3057	6224	1141	9590	17310	8828	660
დეკემბერი	6643	7648	4292	10217	6034	1209	12831	13677	9743	713
სულ	56,679	68,701	55,244	49,625	68,072	127,125	126,324	130,633	115,715	90,236

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული-2000. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2000. გვ. 258-261. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოპერატიული მონაცემები.

დოლარში კონვერსიის მიზნით. ასე მაგალითად, 1998 წლის 4 სექტემბრისათვის 1 აშშ დოლარი მოსკოვში თითქმის 13,5 რუბლი ღირდა, როდესაც თბილისის ბანკოტურ ბაზარზე ლარის საშუალებით კროსკურსული ოპერაციის შედეგად 1 აშშ დოლარს 10,5 რუბლად შეიძენდით. აქედან ნათელია, რომ კროსკურსული განსხვავება მნიშვნელოვან სტიმულს აძლევდა რუსული რუბლების მოდენას საქართველოს შიდასავალუტო ბაზარზე. ამისათვის არ იყო აუცილებელი რუბლის ბანკოტური მასის "გადმოსროლა" რუსეთიდან, რადგანაც საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში ამ სახეობის ვალუტის საკმარისად დიდი რაოდენობა არსებობდა. მხედველობაში გვაქვს საზღვრისპირა რაიონები ე.წ. "სამხრეთ ოსეთი" და რაც მთავარია ახალქალაქის ზონა, სადაც რუსეთის მსხვილი სამხედრო ბაზა მოქმედებს. სხვათა შორის, რუსი სამხედროების ხელთ არსებული საშუალებებით რუსეთიდან რუბლების დაუბრკოლებელი შემოტანაც არ იყო რთული.

ამრიგად, 1998 წლის სექტემბერში მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის დარღვევა საქართველოს სავალუტო ბაზარზე განაპირობა არა იმდენად გაიაფებული რუსული იმპორტის მოძალებამ ჩვენი ქვეყნის შიდა ბაზარზე, რამდენადაც ექსპორტის ვარდნამ, ტრანსფერტების ნაკადის მკვეთრმა შესუსტებამ და კროსკურსულმა განსხვავებებმა. ეს იყო სავალუტო კრიზისის საწყისი ფაზა, რომლის დროსაც დაიწყო ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების ინტენსიური ხარჯვა.

4. ნახტომისებური და მცოცავი დევალვაციის დილემა.

5-6 სექტემბრის სავალუტო პანიკამ დღის წესრიგში დააყენა ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც მონეტარული ხელისუფლების ორგანო ქვეყანაში, დილემის წინაშე აღმოჩნდა. მას ან უნდა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ინტერვენციები თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, ან კიდევ შეენარჩუნებინა მართვადი გაცვლითი კურსის რეჟიმი და მის ფარგლებში განეხორციელებინა მცოცავი დევალვაციის ტაქტიკა. როგორც ერთ, ისე მეორე პოზიციას ჰქონდა თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეები.

ეროვნული ბანკის მიერ ინტერვენციების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და ლარის ნახტომისებურ დევალვაციას მხარს უჭერდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი [6, გვ. 139-146]. იგი მიიჩნევდა, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა კლასიკური ტიპის საგადამხდელო ბალანსის კრიზისს, რომლის გადალახვისთვის აუცილებელი იყო რუსეთის ეროვნული ვალუტის დევალვაციის შედეგად საქართველოსათვის გაუარესებული საგარეო - სავაჭრო პირობების გაუმჯობესება. მართალია, ამ შეხედულების ამოსავალი დებულება, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, უდაოდ სწორი იყო, მაგრამ თვით აღნიშნული იდეის მატერიალიზაციის შედეგები

შეიძლებაოდა დამდუჰვეელი ყოფილიყო საქართველოს
 ეკონომიკისათვის.

ჯერ ერთი, ლარის კურსის მიმართ სამომხმარებლო ფასების მაღალი ელასტიურობის გამო მის ნახტომისებურ დევალვაციას მოჰყვებოდა ფასების სულ ცოტა ექვივალენტური ზრდა, რაც გამოიწვევდა ძნელადნასაქრობ ინფლაციურ აფეთქებას და წარმოების ფასის ზრდას, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვნად გაენეიტრალებინა დევალვაციის საგარეო-სავაჭრო ეფექტი.

მეორე, ლარის მყისიერი დევალვაცია უადრესად უარყოფით გავლენას მოახდენდა კომერციული ბანკების მდგომარეობაზე თუნდაც იმიტომ, რომ 1998 წლის კრიზისამდელ პერიოდში დეპოზიტების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში 56-60 მლნ. ლარს შეადგენდა [12, გვ. 44] ლარის კრახს მოჰყვებოდა აღნიშნული დეპოზიტების უკუქცევა, ან აშშ დოლარებში მათი გადაყვანის მასობრივი მოთხოვნა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა საბანკო სისტემის ლიკვიდურობას. ლარული დეპოზიტების გადინებას დაემატებოდა ბანკების საკრედიტო პორთფელის მკვეთრი გაუარესება, მათი სესხების თითქმის 60 პროცენტი წარმოადგენდა საიმპორტო ოპერაციებზე გაცემულ კრედიტებს, რომელთა დაბრუნება დაკავშირებული იყო, ერთის მხრივ, ქვეყნის შიგნით სამომხმარებლო მოთხოვნის დონესთან, ხოლო, მეორეს მხრივ, ლარებში ვაჭრობიდან ამონაგების გადაყვანასთან უცხოურ ვალუტაში. ამდენად, ინტერვენციების უცბად შეწყვეტა უცილობლად გამოიწვევდა საბანკო სისტემის ფართომასშტაბიან კრიზისს.

მესამე, ნახტომისებური დევალვაცია მნიშვნელოვნად გააღრმავებდა საქართველოში უკვე არსებულ საბიუჯეტო კრიზისს. მართალია იგი გარკვეულად გაზრდიდა ბიუჯეტის შემოსავალს საბაჟოდან, მაგრამ ამავე დროს უფრო მეტად გაზრდიდა საგარეო ვალდების მომსახურების ხარჯებს. ეკონომისტის ქრეივ რ.მაჭვიის გაანგარიშებით ლარის 40 პროცენტიათი გაუფასურება საქართველოს საგარეო ვალდებს 3 მილიარდ დოლარამდე გაზრდიდა, რაც ერთობლივი შიდა პროდუქტის (1997 წელი) 44 პროცენტს შეადგენდა [11]. ეს კი შეუძლებელს გახდოდა ნაკისრი საგარეო ვალდებულებების შესრულებას.

აი, ამ სამი გარემოებიდან გამომდინარე გადაწყვიტეს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უარი ეთქვათ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკის ინტერვენციების შეწყვეტაზე და აერჩიათ მცოცავი დევალვაციის ტაქტიკა არსებული საკურსო რეჟიმის ფარგლებში. გათვალისწინებულ იქნა ისიც, რომ გარკვეულ ეტაპზე, როდესაც აღნიშნული ტაქტიკა ამოწურავდა თავის შესაძლებლობებს, ეროვნული ბანკი შეწყვეტდა ინტერვენციებს აშშ დოლარის მიმართ.

ცხადია, არც მცოცავი დევალვაციის სქემა იყო უნაკლო. მისი განხორციელება ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების მნიშვნელოვან შემცირებასთან იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, საბაზრო ინტერვენციების გაგრძელებას მოჰყვებოდა მიმოქცევაში ლარის მასის ასევე მასშტაბური შემცირება, რასაც შეეძლო ხელი

შეეწყო მისი უცხოური ვალუტით, კერძოდ აშშ დოლარით ჩანაცვლებისათვის. მეორეს მხრივ, ამგვარ მიდგომას ბევრი პლიუსებიც ჰქონდა, რომლებიც მთლიანობაში სჭარბობდნენ მინუსებს.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ლარის თანდათანობითი დევალვაცია, რომელიც ყვრდნობოდა ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარების მნიშვნელოვანი ოდენობის გაყიდვას, წარმოადგენდა 5-6 სექტემბრის მოვლენების შემდეგ უცხოურ ვალუტაზე თავდაპირველად აუიოტაჟური მოთხოვნის განვლებისა და შესაძლო ინფლაციური აფეთქების თავიდან აცილების ეფექტურ საშუალებას. სწორედ ამიტომ, სექტემბრის ბოლომდე ლარის კურსის "ცოცვა" მინიმალური იყო. შედეგად ოქტომბერში პანიკური განწყობილებები დაცხრა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მიუხედავად ლარის გაუფასურების დიპაზონის 4-5 თეთრით გაფართოებისა, ეროვნული ბანკის ინტერვენციები თითქმის განახევრდა (იხ. გრაფიკი №1). ამასთან, სექტემბერ-ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი სულ რაღაც 1,1 პროცენტით გაიზარდა [12, გვ. 15]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავდაპირველად სავალუტო აუიოტაჟს ფაქტიურად ინფლაციური რეციდივები არ მოჰყოლია. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ტენდენცია ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის მიმართ ინტერვენციების შეწყვეტამდე (1998 წლის 7 დეკემბერი) გაგრძელდა. ინფლაციური აფეთქება არც შემდეგ მომხდარა. სამომხმარებლო ფასების ზრდამ დეკემბერში 12,2 პროცენტი შეადგინა [12, გვ. 15], რაც დეკემბერში ფასების სეზონური ზრდის ეფექტის გათვალისწინებით ერთობ მოკრძალებულ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. დარჩენილ კრიზისულ პერიოდში (1999 წლის მაისამდე) თეთური ინფლაციის ტემპი მკვეთრად დაეცა. 1999 წლის პირველ ხუთ თვეში სამომხმარებლო ფასების ზრდამ თვეში საშუალოდ 1,8 პროცენტით შეადგინა [12, გვ.15] მთლიანობაში, გაჭიანურებული სავალუტო კრიზისის 9 თვის მანძილზე ინფლაციამ საქართველოში 23,6 პროცენტი შეადგინა [14, გვ.15]. ლარის ნახტომისებური დევალვაციის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტი იქნებოდა, რადგანაც ლარის კრიზისამდელი მასის კუმულატიური ინფლაციური ეფექტი ბევრად უფრო დიდი შეიძლებოდა ყოფილიყო.

მცოცავი დევალვაციის ტაქტიკის არჩევამ განსაკუთრებით კეთილსმყოფელი გავლენა იქონია საბანკო სისტემაზე. სავალუტო აუიოტაჟის კვალობაზე მკვეთრად გაიზარდა კომერციული ბანკების კლიენტების მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაში მათი კუთვნილი ნაშთების უცხოურ ვალუტაში კონვერსიაზე, რასაც ბანკები, მათ საკორესპონდენტო ანგარიშებზე სავალუტო ჩარიცხვების კლების პირობებში, ნამდვილად ვერ შეძლებდნენ. ასეთ ვითარებაში, ეროვნული ბანკის ინტერვენციების გაგრძელებამ საშუალება მისცა ბანკებს შეუფერხებლად დაეკმაყოფილებინათ საკუთარი კლიენტების მოთხოვნა ვალუტაზე და შეენარჩუნებინათ ლიკვიდურობა. სავალუტო კრიზისის პერიოდში კომერციული ბანკების დეპოზიტები ლარებში თითქმის ორჯერ შემცირდა [12, გვ. 44], თუმცა ეს არ ნიშნავდა მათ უაჟქვევას. უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა ეროვნულ ვალუტაში

დეპოზიტებზე არსებული სახსრების გადაყვანა იმავე საბანკო დაწესებულებაში უცხოურ ვალუტაში გახსნილ დეპოზიტებზე. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს თუნდაც ის გარემოება, რომ იგივე კრიზისულ პერიოდში სავალუტო დეპოზიტები ბანკებში მთლიანობაში 60 პროცენტით გაიზარდა [12, გვ. 45]. ცხადია, ეს მოსაწავებდა საბანკო დეპოზიტების დოლარიზაციის დაჩქარებას, თუმცა კომერციულ ბანკებს ურთულეს კრიზისულ პირობებში ადაპტაციის საშუალებას აძლევდა.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების გაგრძელებას კომერციული ბანკების აქტივების, კერძოდ, საკრედიტო პორტფელის გაუარესების თავიდან აცილების თვალსაზრისით. კრედიტების მეტი ნაწილი უცხოურ ვალუტაში იყო გაცემული. ცხადია, მათი დაბრუნებაც უცხოურ ვალუტაში უნდა მომხდარიყო. ნახტომისებური დეველუაციის შემთხვევაში ერთბაშად დაეცემოდა გადახდისუნარიანი მოთხოვნა შიდა ბაზარზე, რაც საფრთხეს შეუქმნიდა უპირატესად იმპორტის დაფინანსების მიზნით აღებული კრედიტების დაბრუნებადობას. ლარის თანდათანობითმა დეველუაციამ ხელი შეუწყო ეკონომიკურ აგენტებს დაერეგულირებინათ კომერციული, მათ შორის სავალუტო რისკები და დროულად მოეხდინათ ბანკების მიმართ თავიანთი ვალდებულებების შესრულება. ამან თავის მხრივ, საშუალება მისცა კომერციულ ბანკებს განეხორციელებინათ ლიკვიდურობის მეტნაკლებად ოპტიმალური მართვა და შეენარჩუნებინათ გადახდისუნარიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფართომასშტაბიანი საბანკო კრიზისი საქართველოში, ისეთი როგორიც რუსეთში მოხდა, გარდაუვალი იყო. “რუსეთის კრიზისის ტალღის დამანგრეველი ზემოქმედების მიუხედავად, - აღნიშნავს პროფესორი ვლ.პაპავა, ამ მიზეზის გამო საქართველოში არც ერთი კომერციული ბანკი არ გაკოტრებულია” [6, გვ. 142-143].

მცოცავი დეველუაციის განხორციელება საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. ყველაზე რთული იყო თვით ამ “ცოცვის” დიაპაზონის განსაზღვრა, რომლის ერთადერთ რეალურ კრიტერიუმს წარმოადგენდა უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის დინამიკა. მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო კრიზისის უკვე მეორე თვეში - ოქტომბერში მოხერხდა აშშ დოლარზე მოთხოვნის თითქმის განახევრება, ნოემბრის დასაწყისში უკვე ნათელი გახდა, რომ ლარის ახალი საკურსო ეკვილიბრიუმი ჯერ კიდევ შორს იყო, რადგანაც მოთხოვნა თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე კვლავ მკვეთრად გაიზარდა [12, გვ. 55]. თუ კრიზისის დასაწყისისათვის დაწოლა გაცვლით კურსზე ძირითადად ექსპორტის პარალიზებითა და ტრანსფერტების კლებით იყო პროვოცირებული, ნოემბრის დარტყმა უკვე რუსეთიდან გაიფრებული იმპორტის მოძალეობამ წარმოშვა, რომელიც თავდაპირველ მაპროვოცირებელ ფაქტორებს გადაეხლართა და მეტი სიმწვავე შესძინა სავალუტო კრიზისს. საქართველო - რუსეთის საგარეო ვაჭრობის მონაცემებიდან (იხ. ცხრილი №2) ჩანს, რომ 1998 წლის ოქტომბერში იმპორტის მოცულობა რუსეთიდან წინა თვესთან შედარებით 2,4-ჯერ

გაიზარდა. ბევრად მეტია იგი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებითაც.

აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ 1998 წლის ოქტომბერში რუსეთთან საქართველოს სავაჭრო პირობები კიდევ უფრო გაუარესდა, რამაც გამოხატულება პპოვა ამ ქვეყნის იმპორტის კონკურენტუნარიანობის შემდგომ განმტკიცებაში. მართლაც, თუ დავუბრუნდებით ლარის რეალური გაცვლითი კურსების დინამიკას (იხ. გრაფიკი №3), ადვილად შევამჩნევთ, რომ ლარის რეალურმა გაძვირებამ რუსული რუბლის მიმართ სწორედ ამ პერიოდში მიაღწია თავის პიკს. ამავე დროს დაიწყო მისი რეალური კურსის თანმიმდევრული შემცირების პროცესი, თუმცა ამ უკანასკნელის ტემპი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხელი შეეშალა შედარებით გაიაფებული რუსული საქონლის მოზღვავეებისათვის საქართველოში. ამიტომ, ნოემბრიდან მოყოლებული, ეროვნულმა ბანკმა მკვეთრად გაზარდა ლარის თანდათანობითი გაუფასურების დიაპაზონი.

მცოცავი დეველვაციის დაჩქარებამ, ძირითადად რუსეთთან სავაჭრო პირობების გაუარესების გამო, გააძლიერა ინტერვენციების შეწყვეტის მოლოდინი, რომელსაც ისიც უწყობდა ხელს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების დონე კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. ნოემბრის ბოლო დეკადაში უკვე აშკარად იჩინა თავი მძლავრმა სპეკულაციურმა შეტევამ, რომელსაც მოჰყვა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე აშშ დოლარის მიმართ ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის დღეში ჯერ 2, შემდეგ კი 3-4 თეთრით დაცემა (.). ასეთ ვითარებაში ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება 1998 წლის 7 დეკემბრიდან საბაზრო ინტერვენციების შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ეყრდნობოდა ორ მნიშვნელოვან გარემოებას:

ჯერ ერთი, დეკემბრის დასაწყისისათვის მიმოქცევაში მინიმალური ოდენობის ლარი იყო (დაახლოებით 200 მლნ), როდესაც იურიდიული და ფიზიკური პირების, აგრეთვე ბანკების ხელში ათობით მილიონი აშშ დოლარი იყო კონცენტრირებული. სხვაგვარად რომ ეთქვამთ, შიდასავალუტო ბაზარზე ახალი კონიუნქტურა ჩამოყალიბდა.

და მეორე, დასასრულს მიუახლოვდა ფისკალური წელი. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ფისკალური მექანიზმების აქტივიზაცია საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმალური მობილიზაციისათვის, რასაც ეროვნული ბანკის ვარაუდით უნდა მოჰყოლოდა მოთხოვნის მკვეთრი ზრდა ეროვნულ ვალუტაზე და აშშ დოლარების ინტენსიური მიწოდება.

ამრიგად, თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკის ინტერვენციების შეწყვეტა არ წარმოადგენდა ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ სპონტანურად გადადგმულ

* საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერატიული მონაცემები.

ნაბიჯს. იგი ხელისუფლების მიერ არჩეული მცოცავი დეველუაციის ტაქტიკის განუყოფელი ნაწილი იყო, რომლის განხორციელება მოხდა მაშინ, როდესაც გაჩნდა ამის ობიექტური აუცილებლობა და შესაძლებლობა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ მცურავ კურსზე გადასვლიდან ერთი კვირის მანძილზე ლარის ნომინალურმა გაცვლითმა კურსმა ორდღიანი მკვეთრი ვარდნის შემდეგ გამყარება დაიწყო და ინტერვენციების შეწყვეტამდე დონეს (1 აშშ დოლარი = 1,73 ლარი) დაუბრუნდა. საბოლოო ჯამში დეკემბრის ბოლოსათვის საკურსო პარიტეტმა 1 აშშ დოლარში 1,8 ლარი შეადგინა.

5. სავალუტო კრიზისის გაჭიანურება მცურავ გაცვლით კურსზე გადასვლის პირობებში.

მცურავ გაცვლით კურსზე გადასვლამ საქართველოში შექმნა სრულიად ახალი ეკონომიკური გარემო, რომელშიც ადაპტირება საკმაოდ გაუჭირდათ როგორც ეკონომიკურ სუბიექტებს, ასევე მათი საქმიანობის მარეგულირებელ სახელმწიფო ინსტიტუტებსაც.

ამ ახალ ეკონომიკურ გარემოს ძველისაგან ორი ძირითადი მომენტი მიჯნავდა. პირველი იყო ის, რომ ფიქსირებულ, ან მართვადი გაცვლითი კურსებისაგან განსხვავებით მცურავი კურსი, მცირე ზომის, ზედმეტად ღია ეკონომიკაში, როგორც საქართველო იყო და არის, გაცილებით ნაკლებად პროგნოზირებადია. მეორე კი იმაში მდგომარეობდა, რომ ინტერვენციების შეწყვეტით, ხელისუფლებამ დაკარგა ერთ-ერთი და არა ერთადერთი რეალური ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელი იყო როგორც საკურსო პარიტეტის რეგულირება, ასევე მიმოქცევაში ფულადი მასის კონტროლი. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქართველ ეკონომისტთა გარკვეულ წრეებში თავიდანვე დამკვიდრდა პესიმისტური განწყობილებები ახალი საკურსო რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობის მიმართ. “საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა, ვკითხულობთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევაში, უნდა გააგრძელოს ზომიერი ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში არასტაბილური და არაპროგნოზირებადი მონეტარული ვითარება და მაღალი ინფლაცია სერიოზულ პრობლემებს შექმნის ქვეყნის ეკონომიკაში” [5, გვ. 122]. საქართველოში, სადაც უკვე არსებობდა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების პოზიტიური გამოცდილება, მონეტარული ვითარების დესტაბილიზაცია შეეძლო გამოეწვია უწინარეს ყოვლისა უმწვავეს საბიუჯეტო კრიზისსა და საგადამხდელი ბალანსის ფინანსური ანგარიშის არხებით უცხოური ვალუტის დიდი რაოდენობით შემოდინებას. სწორედ ამ ორი ფაქტორის ურთიერთქმედებამ სავაჭრო ბალანსის სეზონურ გაურესებასთან შექმნა სავალუტო კრიზისის გაჭიანურების წინამძღვრები საქართველოში.

როგორც მოსალოდნელი იყო, 1998 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტის მორიგი ტრანში და პოლანდიის მთავრობის გრანტი. მათი საერთო რაოდენობა 30 მლნ. აშშ დოლარს აღწევდა.

აღნიშნული თანხა, ეროვნული ბანკის მიერ მისი ლარებში კონვერსიის შემდეგ, უნდა მოხმარებოდა ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას. ამასთან, მოულოდნელად მოხდა თბილისის ელექტროქსელების კომპანიის – “თელასის” პრივატიზაციის თანხის გადმორიცხვაც (20 მლნ. აშშ დოლარი), რომელიც იგივე მიზნისათვის იყო განკუთვნილი. ყოველივე ამის შედეგად, მართალია, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები თითქმის გაორმაგდა, მაგრამ გაჩნდა სანაცვლოდ მიმოქცევაში გასაშვები ლარების განეიტრალების სერიოზული პრობლემა. ნაღდი ფული მიმოქცევაში 1999 წლის იანვარში 23,5 მლნ. ლარით გაიზარდა წინა წლის დეკემბერთან შედარებით [12, გვ. 19]. თუ გაეთვალისწინებთ იმასაც, რომ იანვარში ფულის მასის ზრდა რამდენადმე მაინც განეიტრალდა სახელმწიფო ვალის მომსახურების მექანიზმებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულმა ზრდამ 30 მლნ. ლარი მაინც შეადგინა. ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ იანვარში 28 თეთრით დაცემულიყო 1998 წლის დეკემბრის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, რაც 15,6 პროცენტს შეადგენს [12, გვ. 59].

შიდასავალუტო ბაზრის კონიუნქტურის გაუარესებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სეზონურობის ფაქტორმა. წინასახალწლოდ, დეკემბერში შემოტანილი იმპორტული საქონლის ღირებულების ანაზღაურება, როგორც წესი ნახალწლოვს ხდება, რაც ცხადია ზრდის მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე. ამავე დროს, წლის პირველი კვარტალი საქართველოში ერთობ დაბალი ეკონომიკური აქტივობით ხასიათდება. მწვავე ენერგეტიკული კრიზისის გამო ნაკლებად ფუნქციონირებს ეკონომიკის რეალური სექტორი. ამას ემატება გართულებული მიმოსვლა, განსაკუთრებით რუსეთთან, რაც უარყოფითად მოქმედებს ექსპორტზე. რაც შეეხება იმპორტს, ენერგომატარებლების მოხმარების ზრდის გამო, სამთარში იგი ტრადიციულად არ კლებულობს, თუ არ იზრდება. ყოველივე ამის შედეგად, იანვრიდან მოყოლებული აპრილამდე, საქართველოს საგადასხდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიში გამოკვეთილად დეფიციტურია. სწორედ ამიტომ თავისუფალ მცურავ კურსზე გადასვლამდე, 1996-98 წლებში პირველ კვარტალში ეროვნული ბანკი ყველაზე მეტ ვალუტას ყიდდა, საშუალოდ – 28,5 მლნ. დოლარს [12, გვ. 55]. ინტერვენციების შეწყვეტის შემდეგ, მითუმეტეს კრიზისულ ფონზე, მოთხოვნა-მიწოდების მწვავე დისბალანსის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ საგადასხდელი ბალანსის ფინანსური ანგარიშის შემოსავლები გადაფარავდნენ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. სამწუხაროდ, 1999 წელს ეს არ მოხდა. ფინანსური ანგარიშის ხაზით შემოსული სავალუტო სახსრები (მაგალითად – “თელასის” პრივატიზებიდან ამოგებული თანხები) შიდასავალუტო ბაზარზე ვერ მოხვდა, ხოლო მისი ექვივალენტი ლარებში პირიქით, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდის ფაქტორად გადაიქცა. ასეთ ვითარებაში ვერ მოხერხდა ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის შემდგომი ვარდნის შეჩერება, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ბანკმა მკვეთრად შეზღუდა

ფულის მიწოდება და მის მიმართ მთავრობის დაგროვილი დავალიანების მომსახურების მექანიზმების გამოყენებით საგრძობლად შეამცირა, როგორც სარეზერვო, ასევე ნაღდი ფულის მასა მიმოქცევაში [12, გვ. 19]. თებერვალში ეროვნული ვალუტის საშუალო თვიური კურსი აშშ დოლარის მიმართ იანვართან შედარებით კიდევ 20 თეთრით, ანუ თითქმის 10 პროცენტით დაეცა [12, გვ. 59]. მკვეთრად გაიზარდა საკურსო რხევების ამპლიტუდა: თუ იანვარში ლარის მინიმალური კურსი აშშ დოლარის მიმართ 2,225 ლარი იყო 1 დოლარში, თებერვალში ამ მაჩვენებელმა 2,451 შეადგინა*. ამასთან ერთად, გაიზარდა ფსონი საბირჟო და ბანკოტურ კურსებს შორის, რომელმაც ცალკეულ შემთხვევებში 10-15 თეთრიც კი შეადგინა*. ყოველივე ეს იმასზე მიგვანიშნებს, რომ 1999 წლის იანვრის ბოლოსა და თებერვალში საქართველოს შიდასავალუტო ბაზარზე კვლავ განახლდა სპეკულაციური შეტევა, რომელსაც სავალუტო კრიზისის პირველი ფაზისაგან განსხვავებით წინ არ უძღოდა ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების შემცირება.

სპეკულაციური შეტევის ახალი ტალღის შედეგად იანვარ-თებერვალში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის დაცემამ 25,5 პროცენტი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ანალოგიური შეტევის პირველი ტალღის თანამდევი სავალუტო კრაზი 1998 წლის დეკემბერში არ დამთავრებულა. ერთგვარი წინასაახალწლო შესვენების შემდეგ იგი კვლავ გაგრძელდა, თანაც არანაკლები სიმწვავეით. უნდა ვივარაუდოთ, რომ 33,2 პროცენტის დეველვაცია საკმარისი არ აღმოჩნდა სავალუტო-კრიზისული კვანძის გასასხნელად, რომლის არსი მდგომარეობდა საქართველოს სავაჭრო ბალანსისათვის მაქსიმალური გაუმჯობესების პირობების შექმნაში. თუ კვლავ დაეუბრუნდებით ლარის რეალური გაცვლითი კურსების მრუდებს (იხ. გრაფიკი №3), თვალნათლივ ჩანს, რომ 1998 წლის დეკემბერში ჯერ კიდევ ვერ იქნა მიღწეული ჩვენი ეროვნული ვალუტის მაქსიმალური რეალური გაიაფების პიკი ევრც რუსული რუბლის და ვერც აშშ დოლარისა და მასზე მიბმული ვალუტების მიმართ. აღნიშნული პიკი მხოლოდ თებერვალში იქნა გადალახული. მარტ-აპრილში გარკვეული სტაბილიზაციის შემდეგ, მაისში ლარის რეალური საკურსო თანაფარდობა როგორც რუსული რუბლის, ასევე აშშ დოლარის მიმართ მეტ-ნაკლებად მდგრად დიაპაზონში მოექცა, რაც არსებითად კრიზისის დასრულებას მოასწავებდა.

ამრიგად, 1998-99 წლების სავალუტო კრიზისი საქართველოში ორ ფაზას მოიცავდა. პირველი ფაზა (1998 წლის სექტემბერ-დეკემბერი) მთლიანად კრიზისული დაავადების კლასიკური სქემით წარიმართა, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში გადადინების ეფექტის (სპილდოვერ ეფფექტ) სახელით არის ცნობილი. ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების მინიმალიზაციის კვალობაზე განვითარდა სპეკულაციური შეტევა, რასაც

* საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერატიული მონაცემები.

მოჰყვა სავალუტო კრახი და საკურსო რეჟიმის შეცვლა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, დარღვეული წონასწორობა ბოლომდე მაინც ვერ იქნა აღდგენილი. კრიზისის მეორე ფაზა (1999 წლის იანვარ-მაისი) უკვე მცურავი კურსის პირობებში განვითარდა, რომლის ფარგლებშიც ვერ მოხერხდა საგადამხდელი ბალანსის ფინანსური ანგარიშისა და საერთაშორისო ფინანსური დახმარების ხაზით მოდენილი მსხვილი სავალუტო სახსრების ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მიზნით მონეტიზაციის მკვეთრად უარყოფითი ეფექტის ნეიტრალიზაცია. ამას დაერთო სეზონური ფაქტორის ასეთივე ნეგატიური ზემოქმედება. შედეგად კვლავ განვითარდა სპეკულაციური შეტევა, ამჯერად სავალუტო რეზერვების ხარჯვის გარეშე, რომელსაც კიდევ ერთი სავალუტო კრახი მოჰყვა. საბოლოო ჯამში გაჭიანურებული სავალუტო კრიზისის განმავლობაში ლარმა თითქმის 50 პროცენტის დევალვაცია განიცადა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი № 12/22, 2000.
2. ი. მესხია, ფინანსური სტაბილიზაციის საგარეო და საშინაო ფაქტორები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები I, თბილისი 2000 წელი.
3. მ. გველესიანი. ეკონომიკის რეგულირება: არატრადიციული მიდგომები. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული IV ტომი, თბილისი, 1999 წელი.
4. ი. არჩვაძე. საქართველო ვერ თავსდება მძიმე ვალუტის პარამეტრებში. კრებული “ეკონომიკა და დრო”. თბილისი. 2000.
5. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. სავალუტო კრიზისი, ლარის დევალვაციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები.
6. ვლ. პაპავა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი. 2000.
- მ. კაკულია. მცურავ გაცვლით კურსზე გადასვლა სულაც არ აღმოჩნდა ტრაგიკული. ჟ. “მაკრო მიკრო ეკონომიკა”, 1999, № 7-8.
7. P.Krugman. Currency Crisis. 1997. [www //http://web.mit.edu/krugman/www/crisis.html](http://web.mit.edu/krugman/www/crisis.html).
8. საქართველოს სტატისტიკური კრებული – 2000. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2000.
9. მ. კაკულია. სავალუტო კრიზისის მექანიზმი და ფორმები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. ჟ. “სოციალური ეკონომიკა” იანვარ-თებერვალი, 2000 წელი.

10. გაანგარიშებულია: საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი № 12 (22), 2000 წ.
11. Craig R. MacPhee. Devaluation of the Lari and its Effects, IRIS Caucasus Center (USAID), October 29, 1998.
12. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი № 10, 1999 წელი.

Валютный кризис в Грузии в 1998-99 годах

Какулия Мераб

Национальный Банк Грузии

380005, г. Тбилиси,

ул. Леонидзе, 3/5

Резюме. Волна валютных кризисов, охватившая многие страны мира в конце прошлого года, не миновала и Грузию. Валютно-кризисные явления в этой стране начались в сентябре 1998 года и продолжались почти девять месяцев. По сути это был затяжной кризис, в результате которого национальная валюта Грузии - Лари потеряла почти половину своей номинальной стоимости.

Основным фактором, непосредственно спровоцирующим валютный кризис в Грузии, была глубокая девальвация рубля в результате широкомасштабного финансового кризиса в России, являющегося преобладающим торговым партнером Грузии. Бюджетный кризис в Грузии, который по мнению некоторых грузинских экономистов сыграл ведущую роль в развертывании валютно-кризисных явлений в этой стране, следует рассмотреть в качестве вспомогательного, но не основного фактора. Что касается мнения, согласно которому валютный кризис в Грузии был вызван дороговизной лари по отношению к доллару США и российскому рублю в течение долгого времени, то оно до девальвации рубля не подтверждается.

Валютный кризис в Грузии имел две фазы. Первая из них охватила период сентября по декабрь 1998 года, когда резко упал объем грузинского экспорта в Россию и увеличился импорт из этой страны, существенно сократились трансферты грузинских резидентов из России, а также возникли значительные кросскурсные различия между двумя странами. В таких условиях власти Грузии, вопреки рекомендациям МВФ, не поддержали идею скачкообразной девальвации национальной валюты, которая могла бы вызвать

инфляционный всплеск и системный кризис банковского сектора страны. Национальный банк Грузии предпочел тактику ползучей девальвации Лари, что предполагало постепенное понижение номинального обменного курса посредством ограниченных интервенции. Данная тактика предполагала также прекращение интервенции в случае понижения валютных резервов Грузии до критического уровня.

В результате применения тактики ползучей девальвации в целом удалось сохранить относительную цен и ликвидность банковской системы. Вместе с тем, натиск спекулятивной атаки был значительно исчерпан, что способствовало созданию благоприятных условий для прекращения интервенции Национальным банком Грузии.

Вторая фаза валютного кризиса в Грузии началось после перехода на плавающий обменный курс лари в январе 1999 года. Под влиянием монетизации дефицита государственного бюджета за счет притока капитала по линии финансового счета платежного баланса, а также сезонных изменений, резко возрос спрос на иностранную валюту. В условиях отсутствия интервенций со стороны Национального банка, лари быстро начал падать, вследствие чего развернулась новая волна спекулятивной атаки, приведшая к очередному валютному краху. В результате ужесточения денежно-кредитной политики, к маю 1999 года конъюнктуру валютного рынка удалось стабилизировать.

Currency Crisis in Georgia in 1998-99

Merab Kakulia

National Bank of Georgia

3/5 Leonidze Street

Tbilisi, 380005, Georgia

Summary. The wave of a currency crisis embracing many countries of the world at the end of the last year reached Georgia as well. The currency crisis started in September 1998 and lasted almost nine months. Actually it was a protracted crisis, as a result of which national currency of Georgia-Lari, lost half of its nominal value.

The main factor, provoking a currency crisis in Georgia, was a spillover effect of devaluation of Russian Ruble following the systemic financial crisis in Russia - the main trade partner of Georgia. Though some Georgian economists consider the budgetary crisis as a leading factor in the development of a currency crisis in this country, in our opinion it was only an auxiliary factor, but not a main one. There is one more opinion according to which currency crisis in Georgia was provoked by overvaluation of Lari

against USD and Russian Ruble during a long period of time, but this opinion, as think, is not confirmed by facts.

Currency crisis in Georgia had two phases. The first phase embraced the period from September 1998 and to December of the same year. In this period of time, the volume of exports from Georgia to Russia sharply decreased and imports - increased, transfers of Georgian residents from Russia reduced sufficiently, significant cross-rate differences between two countries created. In such conditions, despite the IMF recommendations, Georgian authorities didn't support the idea of a rapid devaluation of the national currency, which could have had resulted in the inflationary splash and systemic crisis of the country's banking sector. The National Bank of Georgia choose the tactics of a crawling devaluation of Lari, which envisaged a step by step reduction of the nominal exchange rate, by means of ceasing interventions. Given tactics also presupposed ceasing interventions in the event of reduction Georgia's foreign currency reserves to a critical level.

As a result of applying the tactics of a crawling devaluation it became possible relatively to maintain the price stability and liquidity of a banking system as a whole. The impact of a speculative attack has been settled, which facilitated the creation of favourable conditions for ceasing interventions by the National Bank of Georgia.

The second phase of a currency crisis in Georgia began after the transition to a floating exchange rate regime in January 1999. Under the influence of a budget deficit monetarization, due to the foreign exchange inflows from the international financial organizations, privatization proceeds and seasonal changes, demand on the foreign exchange sharply increased. In the conditions of the absence of interventions from NBG's side, Lari exchange rate began to fall rapidly, causing a new wave of a speculative attack, leading to the next currency crash. As a result of tightening a monetary policy, it became possible to stabilize the conjuncture of a currency market.

სასურსათო უსაფრთხოების გლობალური ასპექტები

პამლეტ ვიორგამე
380013, თბილისი – დიღომი
საქართველოს სახელმწიფო
აგრარული უნივერსიტეტი
შემოვიდა 2000 წლის 12 მარტს

რეზიუმე: მსოფლიო თანამეგობრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპი ხასიათდება სასურსათო პრობლემის გააქტიურებით. მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს, უზრუნველყოს მეცნიერულად დასაბუთებული ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით თავისი მოსახლეობა. სასურსათო პრობლემა ყველა ქვეყნისათვის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა კატეგორიას ეკუთვნის. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში. გაეროს ოფიციალური გაანგარიშებებით ამ ქვეყნებში 1990 წლის მონაცემებით 785 მლნ. ადამიანი იღებდა დღე-ღამეში 1000 კკალ-ზე ნაკლებ შემცველობის სასურსათო პროდუქტს, რაც იწვევს ადამიანის ორგანიზმის დეგრადაციას, ხოლო 1,5 მლრდ ადამიანი დღეში საშუალოდ იღებდა 1000-1800 კკალ-ის შემცველ პროდუქტს, რაც სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით შიმშილის და ქრონიკული შიმშილის გასავრცელებლად.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ბერკეტების გამოყენების შედეგად მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალ დონეს და უზრუნველყვეს თავიანთი მოსახლეობა სურსათით და ამ ქვეყნების წინაშე ამჟამად დგას კვების სტრუქტურის სრულყოფის პრობლემები, რომელიც ითვალისწინებს ნახშირწყლების, ცხოველური წარმოშობის ცილების და ცხიმების ხვედრითი წონის გაზრდას ადამიანთა კვების რაციონში.

* * *

სურსათის აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფა, მისი ხარისხობრივი გაუმჯობესება, მოსახლეობის სოციალურ ჯგუფებსა და კატეგორიებს შორის მისი სამართლიანი განაწილება იყო და დღესაც რჩება ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ყველა ქვეყნისათვის ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი პროგრესის მაღალი დონის მისაღწევად.

კანონზომიერია, რომ სასურსათო პრობლემას გააჩნია ისტორიული ფესვები და გართულებების შემთხვევაში ყველა ქვეყანაში წარმოშობდა ხალხის ჯანმრთელობისა და ეკონომიკის სამეურნეო მართვის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საფრთხეს.

„თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი ტენდენცია გახდა მისი გლობალიზაცია. საკუთარი ეროვნული, ეკონომიკური ინტერესების აბსოლუტიზაციის პერიოდიდან, რაც ცალკეული სახელმწიფოების პოლიტიკური და ადმინისტრაციული კარჩაკეტილობით იყო გამოწვეული, მსოფლიო გადადის განვითარების შემდგომ ეტაპზე, გლობალურ ეკონომიკაზე“. (მიუთითებს ქართველი მეცნიერი დ. ძნელაძე) [5, გვ. 13-14].

აღნიშნული მიზეზების გამო სასურსათო პრობლემამ მიიღო გლობალური ხასიათი. პრობლემის გლობალიზაციას ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ ამ სასიცოცხლო პრობლემის გადაწყვეტას შეუძლია ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ძალისხმევით, არამედ შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოს ქვეყნების კარგად ჩამოყალიბებული თანამშრომლობის პირობებში, სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკური სისტემების ბატონობისაგან დამოუკიდებლად. დღეს მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო რომელშიც სურსათის წარმოება, განაწილება, საგარეო ვაჭრობა არ იყოს ცენტრალური ხელისუფლების სერიოზული ზრუნვის საგანი. ამ მიმართებითაც ეს პრობლემა არის ზოგადსაკაცობრიო, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ქვეყნების გარკვეული ნაწილის მოსახლეობა ქრონიკულად შიმშილობს, მეორე ნაწილის მოსახლეობა კი „ზედმეტი“ სურსათის განადგურებისთვის არის განწყობილი.

ფაქტია, რომ დღევანდელ მსოფლიოში არსებობს მოსახლეობის მრავალმილიონი მასები, რომელთა კვების რაციონის კალორიულობა ნაკლებია კვების ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით, რომელიც შემუშავებულია მსოფლიოს რეგიონების მიხედვით სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ექსპერტების მიერ. ამის შესახებ მიუთითებს ქართველი მეცნიერი ჯ. პაჭკორია. „სურსათის მიწოდება ქრონიკულად ჩამორჩება სურსათზე მოთხოვნას, გარკვეულ სივრცესა და დროში ამდენად ეს პრობლემა არსებობს იმ რაიონების რეგიონებისა და სახელმწიფოებისათვის, სადაც ხდება ბალანსის ასეთი დარღვევა“ [1, გვ. 535-546].

FAO-ს უკანასკნელი მონაცემებით 785 მლნ ადამიანი შიმშილობს, მათგან 500 მლნ-მდე ადამიანი განწირულია ავადმყოფობისა და სიკვდილისათვის. აშკარა შიმშილი წარმოადგენს აისბერგის მწვერვალს. სურსათის უკმარისობის სხვადასხვა ფორმით მსოფლიოში 1,5 მლრდ ადამიანი იტანჯება. სასურსათო პრობლემის ტრაგედია იმაში გამოიხატება, რომ სურსათის უკმარისობა გარეგნულად ძნელად შესამჩნევია. ის ვინც, სურსათის უკმარისობას განიცდის შეიძლება არ გრძნოდეს ამას. გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ გამოკითხული დედების 60%-ს წარმოადგენდა კი არ



ქონდათ იმაზე, რომ მათი შვილები სურსათის ნაკლებობას განიცდიან.

გლობალური სასურსათო პრობლემის ციფრებში ზუსტად გამოხატვა და მისი ანალიზი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. შეუძლებელია პლანეტის მასშტაბით კვების საშუალო ნორმის დადგენა, რადგანაც დედამიწის ზონები და რეგიონები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმ ენერჯის ხარჯვით რომელიც აუცილებელია ადამიანისათვის. FAO-ს გაანგარიშებებში ასეთ ნორმად მიღებულია 2400 კკალ-ის შემცველი სურსათის მიღება დღე-ღამეში, მაგრამ ა.შ.შ.-ის და დასავლეთ ევროპის ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ ეს ნორმა 2700-3000 კკალ-ს შეადგენს. 1995 წელს ა.შ.შ.-ში გამოქვეყნებულ სამთავრობო დოკუმენტებში, რომელიც ეხებოდა ჯანმრთელი კვების ორგანიზაციას დღიურ ნორმად აღებულია დაუსაქმებელი ქალებისათვის 1600 კკალ-ია, აქტიურად მომუშავე კაცებისათვის 2800 კკალ-ია.

შიმშილის რაციონი, რომელიც იწვევს ადამიანის ორგანიზმის ფიზიკურ დეგრადაციას შეიცავს 1000 კკალ-იას დღე-ღამეში. ასეთი რაოდენობის ენერჯის სურსათი მოიხმარება მსოფლიოში 500-დან 800 მლნ ადამიანამდე. თუ როგორ განსხვავდება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიერ მოხმარებული სასურსათო პროდუქტები, გამოხატული კალორიებში მოტანილია ცხრილ 1-ში

ცხრილი 1.

კალორიების მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე დღე-ღამეში

	სულ					მათ შორის ცხოველური წარმოშობის				
	1964-1966	1969-1971	1974-1976	1981-1983	1984-1986	1964-1966	1969-1971	1974-1976	1981-1983	1984-1986
აფრიკა	2151	2180	2242	2316	2299	166	167	166	182	179
სამხრეთ ამერიკა	2454	2497	2542	2590	2622	438	443	464	469	452
აზია	2044	2096	2171	2422	2485	129	135	147	183	212
აშშ	3336	3442	3505	3647	3642	1348	1366	1284	1280	1228
დასავლეთ ევროპა	3206	3259	3362	3427	3383	926	970	1059	1130	1123

წყარო: 1985 Fao Production Yearbook Rome 1986.p.271-272
1987 Fao Production Yearbook Rome 1988. p. 291-292

საერთაშორისო სტანდარტებით კვების დარღვევად ითვლება პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე საკვები ნივთიერების უკმარისობით ან ზედმეტობით. ამ მოვლენაში ოთხი ვარიანტის გამოყოფა შეიძლება:

1. არასრულფასოვანი კვება - არის პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია არასაკმარისი ოდენობის საკვების ხანგრძლივი დროით მოხმარებისას. ამ შემთხვევას აღნიშნავენ აგრეთვე ტერმინით „მარაზმი“, „გამოფიტვა“. ტერმინით „შიმშილობა“ აღნიშნულია ის შემთხვევები, როდესაც საკვები მთლიანად ან თითქმის არ გამოიყენება და რომლის დროსაც სხეულის, ორგანიზმის დეგრადირება გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ეს „არასრულფასოვანი კვებისას“ ხდება;
2. უკმარისობის სპეციფიკური ფორმა - პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია რაციონში ამა თუ იმ საკვები ნივთიერების ნაწილობრივ ან სრული იგნორირებით.
3. ჭარბი კვება - პათოლოგიური მდგომარეობა, გამოწვეული ზედმეტი ოდენობის საკვების მიღებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში;
4. დაუბალანსებლობა - პათოლოგიური მდგომარეობა, გამოწვეული რაციონში აუცილებელი საკვები ნივთიერებების არასწორი შეფარდებით (სიმცირით ან სიჭარბით).

ადამიანის სრულფასოვანი კვების ძირითადი კრიტერიუმებია საკმარისობა, მრავალფეროვნება, ხარისხიანობა. იგი უამრავი დასახელების სასურსათო პროდუქციის მეშვეობით მრავალი საკვები ნივთიერებებით მარაგდება, რომელთაც სხვადასხვა სახის ფუნქცია აკისრიათ. მაგ: ადამიანი ენერჯიას ძირითადად სამი სახის საკვები ნივთიერებებით ივსებს. ესენია: ცილები, რომელთა ენერგეტიკული ფასეულობა 4 კკალ (17,6 კჯოულს-ს) შეადგენს, ცხიმები, ენერგეტიკული ფასეულობა 9,0 კკალ (37,7 კჯოული) და ნახშირწყლები 4,0 კკალ (17,6 კჯოული).

ამასთან, ორგანიზმისათვის მთავარი ენერგომომწოდებელია ნახშირწყლები, უზრუნველყოფენ რა მთელი ენერგოდანახარჯების 55%-ს, რადგან ისინი ადვილად იშლებიან და ორგანიზმისათვის მათი ენერჯიის გამოყენება შედარებით იოლია. ცხიმები, მიუხედავად მაღალი ენერგოტევადობისა, ძირითადად სათადარიგო ენერგომომწოდებელია, ისინი ორგანიზმს აწვდიან მთელი ენერჯიის 33%-ს. ცხიმები სარეზერვო დანიშნულებისაა და ორგანიზმში მარაგებს ქმნის. ცილების წილი ადამიანის ენერგომომარაგებაში 11-13%-ს შეადგენს.

ცილები ადამიანის შეუცვლელი ნივთიერებებია, მათ გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის არსებობა. ადამიანის სურსათით უზრუნველყოფის დონის შეფასების უზოგადესი და უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი ენერგოუზრუნველყოფასთან ერთად, მოხმარებული ცილების ოდენობაცაა. საშუალოდ ერთი ადამიანისათვის ცილების მოხმარების დღიური ნორმა შეადგენს 80-100 გრამს. ორგანიზმისათვის მათ შემდეგი ფუნქციები აკისრიათ:

- პლასტიკური - ცილები უჯრედის მთავარი საშენი მასალაა;
- კატალიტური - ცილები ყველა ფერმენტის ძირითადი კომპონენტია;
- ჰორმონალური - ყველა ჰორმონი თავისი თვისებით ან ცილა ან პოლიპეპტიდი;

ამის გარდა არსებობს ე.წ. სპეციფიკური ცილები, რომლებიც ორგანიზმის, ან ცალკეული ორგანოს რომელიღაც ფუნქციას ასრულებენ. ცილების მოხმარების შესახებ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში მიუთითებს ცხრილი 2:

ცხრილი 2

ცილების მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე დღე-ღამეში

	სულ					მათ შორის ცხოველური წარმოშობის				
	1964 - 1966	1969- 1971	1974 - 1976	1981- 1983	1984- 1986	1964 - 1966	1969- 1971	1974 - 1976	1981 - 1983	1984 - 1986
აფრიკა	55,6	56,4	56,6	57,9	57,4	11,4	12,1	12,0	13,0	12,6
სამხრეთ ამერიკა	65,0	65,4	64,8	66,2	66,2	26,3	26,9	28,5	29,1	28,6
აზია	51,3	51,9	53,4	59,2	60,7	7,8	8,2	9,0	10,9	70,9
აშშ	102, 6	104,7	105, 6	105,8	106,5	69,8	71,6	71,6	70,9	70,9
დასავლეთ ევროპა	89,9	91,3	93,3	98,7	100,8	43,9	46,6	52,3	56,2	59,8

წყარო: 1985 Fao Production Yearbook Rome 1986.p.273-274
 1987 Fao Production Yearbook Rome 1988. p. 293-294

* * *

საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ორი ძირითადი მაჩვენებელი არსებობს, რომლებიც FAO -ს ექსპერტების მიერ არის დამუშავებული და ორივე მათგანი მსოფლიოში მარცვლეულის წარმოებას უკავშირდება. ესენია: მარცვლეულის გარდამავალი მარაგები და მარცვლის წარმოების მონაცემები მთლიანად და ერთ სულზე გადაანგარიშებით. მარცვლეულის გარდამავალი მარაგები იანგარიშება მსოფლიოში მარცვლის მოთხოვნილების მთელი ოდენობიდან გარკვეული წილის მიხედვით პროცენტებში ან არსებული მარაგების საკმარისობის მიხედვით მარცვლეულის მოხმარებიდან გამომდინარე, დღეებში. უსაფრთხოდ ითვლება

მარცვლეულის მარაგების ის მოცულობა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში მარცვლეულის მოხმარების მთელი ოდენობის 17 პროცენტს, ანუ 60 დღის პერიოდს, მსოფლიოში აღნიშნულ ნიშნულზე ქვევით მარცვლეულის მარაგების შემცირება, შეიძლება გახდეს საერთაშორისო სასურსათო კრიზისის დეტონატორი. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, მარცვლეულზე ფასები მკვეთრად იზრდება. ამგვარ მოვლენას ადგილი ჰქონდა 1972-1973 და 1995-1996 წლებში (იხ. დანართი 1). 1973 წლიდან 1995 წლამდე მსოფლიოს მარცვლეულის ბაზარი ინარჩუნებდა სტაბილურობას. ამ პერიოდში, კერძოდ, 1986-1987 წლებში დაფიქსირდა მარცვლეულის გარდამავალი მარაგების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 465 მილიონი ტონის ოდენობით, რაც მსოფლიოს 104 დღის მოხმარებას შეესაბამებოდა, რის შემდეგაც ამ მაჩვენებელმა კლება დაიწყო და 1989 წლიდან მოყოლებული 1997 წლამდე იგი მხოლოდ ორჯერ – 1991 და 1993 წლებში – ასცდა მსოფლიოში მარცვლეულის მთლიანი მოხმარების ოდენობის 20 პროცენტთან ბარიერს, ხოლო 1995-1996 წლებში აღინიშნა მარცვლეულის გარდამავალი მარაგების ყველაზე დაბალი დონე 246 მილიონი ტონის რაოდენობით. ეს მოცულობა მსოფლიოს მხოლოდ 51 დღის განმავლობაში ეყოფოდა. მართალია, 1996 წელს, პლანეტაზე მოწვეულ იქნა მარცვლეულის სარეკორდო მოსავალი 1841 მილიონი ტონის ოდენობით, მაგრამ ამან მხოლოდ უმნიშვნელოდ გააუმჯობესა საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელი. 1997 წლისათვის მსოფლიოში მარცვლეულის გარდამავალი მარაგები 55 დღის განმავლობაში იქნებოდა საკმარისი, ანუ საერთაშორისო სასურსათო ბაზარი კვლავ კრიზისულ მდგომარეობაში იყო. უკანასკნელი ათი წლის საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლები წარმოშობს ეჭვს, რომ მსოფლიოს მარცვლეულის ბაზარი პერმანენტული კრიზისის ფაზაში შევიდა, რასაც გააჩნია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზები.

ობიექტურ მიზეზთაგან უმთავრესია ის, რომ აგრარულად განვითარებულ ქვეყნებში (რომლებიც მარცვლის უმთავრესი მწარმოებლები არიან მსოფლიოში) ამოწურულია სახნავის ზრდის და მოსავლიანობის სასუქების გამოყენებით ამადლების რეზერვები და სანამ პრაქტიკაში ფართოდ დაინერგება შეცნირული მიღწევები, რომელიც ახალ აგროტექნოლოგიებს ეხება (რასაც საკმაოდ დრო დასჭირდება, რადგან ანალოგიური მოვლენა „მწვანე რევოლუციის“ მსგავსად საეტაპო მნიშვნელობისაა სოფლის მეურნეობისათვის), მანამდე ამ სახელმწიფოებში მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის. მსოფლიოში მარცვლეულის წარმოებას მნიშვნელოვნად აფერხებს ეკოლოგიური ცვლილებებიც. ალბათ გლობალური დათბობის პროცესიც არის უკანასკნელი გახშირებული ვვალეების მიზეზი.

სუბიექტურ ფაქტორთაგან აღსანიშნავია ყოფილ სოციალისტურ ბლოკსა და განსაკუთრებით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი, რამაც

არნახული მასშტაბებით წარმოების ვარდნა გამოიწვია და ეს სოფლის მეურნეობასაც და კერძოდ, მარცვლეულის წარმოებასაც შეეხო.

საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების მეორე მაჩვენებელი – მარცვლეულის წარმოების მოცულობა მთლიანად და ერთ სულზე გაანგარიშებით გამოსადეგია ნაციონალურ დონეზე არსებული ვითარების ასახვისათვისაც და ის ძირითადად სიტუაციის ისტორიულ და რეგიონალურ ჭრილში ანალიზისთვისაა გამოსადეგი. მარცვლის წარმოების ოპტიმალურ დონედ მსოფლიოში ერთ სულზე გადაანგარიშებით სხვადასხვა მაჩვენებელი ითვლება და ის 500-800 კილოგრამამდე მერყეობს. ამერიკის შეერთებული შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში ერთ მოსახლეზე დაახლოებით 800 კილოგრამი მარცვალი მოიხმარება. თუ მარცვლეულის საერთო მოხმარების დაახლოებით მესამედი ნაწილი სასურსათო დანიშნულებისაა, დანარჩენი კი, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის იხარჯება. მსოფლიოში მარცვლეულის საერთო წარმოება 1996 წელს 1950 წელთან შედარებით 2,9-ჯერ გაიზარდა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მატება მხოლოდ 72 კილოგრამი იყო, ამ პერიოდში საუკეთესო მაჩვენებელი დაფიქსირდა 1984 წელს, როდესაც ერთ ადამიანზე მსოფლიოში 342 კილოგრამი მარცვლეული აწარმოეს. მართლაც, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მარცვლეულის წარმოების შტამბეჭდავ მატებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი მცირედით თუ უსწრებდა მოსახლეობის ზრდის ტემპს, რის გამოც მსოფლიოს მოსახლეობის სასურსათო მარცვლეულით მომარაგებაში მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ადგილი არ ჰქონია.

მსოფლიოში მარცვლეულის საერთო წარმოების ზრდაში გადამწყვეტი იყო მოსავლიანობის ამაღლების როლი. 1996 წელს, 1950 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2,5-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში მარცვლეულით დაკავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მხოლოდ 1,2-ჯერ გადიდა ანუ ზრდის დაახლოებით 14 პროცენტი გამოწვეული იყო ფართობების და 86 პროცენტი მოსავლიანობის გადიდებით. როდესაც მსოფლიოს მასშტაბების გასაშუალოებული მაჩვენებლების ანალიზი ხდება, გასათვალისწინებელია, რომ მათ უკან შეიძლება პოლუსურად განსხვავებული რეაქციები იმალებოდეს. ამგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე მარცვლეულის წარმოებისა თუ მოხმარების თვალსაზრისითაც. მაგალითად: მარცვლეულის მოხმარება განვითარებულ ქვეყნებში 1988-1990 წლებში, ნორმასთან მიახლოებული იყო და 635 კილოგრამს შეადგენდა ერთ სულზე გადაანგარიშებით, განვითარებად ქვეყნებში კი, იგივე მაჩვენებელი 2,7-ჯერ ნაკლები ანუ 235 კილოგრამს შეადგენდა.

მარცვლეულის წარმოების დონე, მსოფლიოს გარდამავალი მარაგების მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ პროდუქციის წარმოების ზრდის რეზერვების მოძიება. აქამდე ამას

აღწევდნენ ძირითადად სასუქების გამოყენების ან სახნავის გადიდების მეშვეობით.

მარცვლოვანი კულტურებით დაკავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი მსოფლიოში შემცირების ტენდენციით ხასიათდება 1981 წლიდან მოყოლებული, როდესაც ამ მანქნებელმა 732 მილიონ ჰექტარს მიაღწია, ამაზე დიდი ციფრი მარცვლეულის წარმოების ისტორიაში არ დაფიქსირებულა. 1995 წელს კი მარცვლოვანი კულტურები დაითესა 679 მილიონ ჰექტარზე და ეს არის უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში ყველაზე მცირე ტერიტორია, რაც ამ სახის კულტურებს ეკავა. ასეთი ნიშნულოვანი კლების ძირითადი მიზეზია ეროზია, ქალაქთშენებლობა და მიწის დეგრადაცია, რის შედეგადაც სავარგულები მუდმივად ან გარკვეული დროის განმავლობაში გამოჰყავდათ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. ახალ მიწების ათვისებისას ყველაზე მეტად უშლის ხელს წყლის რესურსების ნაკლებობა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, კაცობრიობამ უკვე ამოწურა მაღალი ღირსების მიწების ათვისების შესაძლებლობა, ხოლო უდაბნოებისა და ნახევრადუდაბნოების „გასაკულტურებლად“ უმთავრესია მტკნარი წყლის რესურსები, რომელიც უადრესად შეზღუდულია და რაც არის, იმის გამოყენება უფრო ეფექტური აქვე არსებული სახნავის ირიგაციისათვის. 1994 წლისათვის მსოფლიოში ირწყვებოდა 249 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ამ მხრივ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ზრდის მდგრადი ტენდენციაა, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

1980-იან წლებში მარცვლეულის ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში აღინიშნა მოსავლიანობის ზრდის სტაგნაცია, ზოგან უმნიშვნელოდ შემცირდა კიდევ, რისი უმთავრესი მიზეზი იყო სასუქების გამოყენების ზრდის ეფექტურობის კლება. 1989 წელს მსოფლიოში მოიხმარეს 146 მილიონი ტონა სასუქი. ეს იყო ყველაზე დიდი ოდენობა ოდესმე არსებულთან შედარებით, რის შემდეგაც დაიწყო შემცირების პროცესი, რაც სასუქების უდიდეს მომხმარებელ ქვეყნებში, ყოფილ სოციალისტური ბლოკის სახელმწიფოებში მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია. სავარაუდოა, რომ უახლეს პერიოდში აღდგება სასუქის მოხმარების არსებული მაღალი მაჩვენებლები, თუმცა ის დიდად ვერ გადააჭარბებს 1989 წლის მონაცემებს, რასაც ზემოაღნიშნულის გარდა, ისიც განაპირობებს, რომ ის ქვეყნები, სადაც სასუქების გამოყენებამ მნიშვნელოვანი ეფექტი გამოიწვიოს, არ ფლობენ სათანადო ფინანსურ თუ სამრეწველო პოტენციალს.

ტრადიციული მეთოდით მარცვლეულის მოსავლის ზრდის რეზერვები აქვთ განვითარებად ქვეყნებს, სადაც დაბალია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ქიმიზაციის დონე, თუმცა სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ჯერჯერობით, არასაკმარისია იქ არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპები, რაც საშუალებას მისცემდა მათ გაეზარდათ ინვესტირება სოფლის მეურნეობაში.

მაინც რა განაპირობებს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების შეფასების უმთავრეს კრიტერიუმად მარცვლეულის წარმოების აღებას? და რამდენად მართებულია ეს?

კაცობრიობისათვის მარცვლეულის მნიშვნელობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეული არის ძირითადი სასურსათო პროდუქტი მთელს მსოფლიოში, მიუხედავად ბიოკლიმატური პირობების, ეკონომიკური განვითარების დონის, რელიგიური აღმსარებლობისა და კვების ტრადიციების განსხვავებულობისა; დედამიწაზე მარცვლეუანი კულტურების მოყვანა შეიძლება თითქმის ყველგან, სადაც კულტურული მიწათმოქმედების თუნდაც რაიმე შანსი არსებობს; ის არის ყველაზე იაფი და ამავე დროს ერთ-ერთი ყველაზე ყუათიანი საკვები პროდუქტი, რომელსაც არამარტო უშუალოდ მოიხმარს ადამიანი, არამედ ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების უმთავრეს საფუძველსაც წარმოადგენს; მარცვლეულის სიიაფის გამო, ის არის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი სურსათი, ანუ ადამიანი — შემოსავლების დეფიციტის, სიღარიბის პირობებში, — როდესაც იძულებულია შეზღუდოს უფრო ძვირადღირებული საკვები პროდუქტების მოხმარება, არ ამცირებს ან უკიდურეს მომენტამდე ინარჩუნებს, მთელ რიგ შემთხვევებში კი ზრდის მარცვლეულის მოხმარებას. რამდენადაც ცნობილია, დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა რელიგია გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს მორწმუნეებს საკვების მიღების მხრივ. უმთავრესად აღკვეთილია (სრულიად ან გარკვეული პერიოდების განმავლობაში), სხვადასხვა სახის ცხოველური წარმოშობის საკვების მიღება, მარცვლეულის საკვებად გამოყენებას კი არ კრძალავს არც ერთი რელიგია, პირიქით, ამგვარი შეზღუდვების პირობებში მისი მნიშვნელობა უფრო იზრდება. მაგალითად: ინდუიზმის მიმდევრები ვეგეტარიანელები არიან, ისლამი და იუდაიზმი — დორის ხორცისას, ქრისტიანებისათვის დაწესებულია მარხვა წლის გარკვეულ პერიოდში, როდესაც მათ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებით კვება ეკრძალებათ და ა.შ. ამგვარ შემთხვევებში მარცვლეული არის საკვები ნივთიერებების და ენერჯის უმთავრესი მიმწოდებელი ადამიანის ორგანიზმისათვის. ყოველი ზემოაღნიშნულმა განსაზღვრა ის, რომ ნებისმიერი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის კვების ტრადიციები მარცვლეულს მოიაზრებს როგორც „კულისნარის“ საფუძველს. მარცვლეულის უმთავრესი ღირსებაა აგრეთვე ის, რომ იგი არის ყველაზე უფრო ტრანსპორტაბელური და ადვილად, ხანგრძლივი ვადით შესანახი პროდუქცია. ტრანსპორტაბელურობა იძლევა იმის საშუალებას, რომ საერთაშორისო მასშტაბით ფართოდ გაიშალოს მარცვლეულით ვაჭრობა, ხოლო ადვილად და ხანგრძლივი ვადით შენახვადობა კი გარანტიანა ამ პროდუქციის დიდი მარაგების შექმნისა, რაც სასურსათო სიტუაციის სტაბილურობას უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ მარცვლეული სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, მაგრამ

მსოფლიოს სასურსათო ბაზრის სტაბილურობაზე სხვა პროდუქტების წარმოების დონეც მოქმედებს. კვების ფიზიოლოგიური ნორმების ჩამონათვალში კვების პროდუქტები ათ ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული, ესენია მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსნები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, თევზი და თევზის პროდუქტები, შაქარი, მცენარეული ზეთები, კვერცხი, კარტოფილი, ხილი და ბოსტნეული, მაგრამ იმის თქმა, რომ ყოველი მათგანის საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ჭრილში განხილვის საფუძველი არსებობს, არ იქნება მიზანშეწონილი. იმისათვის, რომ საკვები პროდუქტი მოექცეს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ანალიზი სპექტრში, იგი ორ ძირითად პირობას მაინც უნდა აკმაყოფილებდეს. პირველ რიგში ის უნდა იყოს ადეკვატურ ტრანსპორტირებადი და აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ვაჭრობის მნიშვნელოვან ობიექტს უნდა წარმოადგენდეს და მეორე, ის უნდა იყოს მაღალი კვებითი ღირებულების მქონე, ანუ აუცილებელია შეიცავდეს ძირითადი საკვები ნივთიერებებიდან, ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ერთ-ერთს მაინც სოლიდური ოდენობით. ასეთთა კატეგორიას მარცვლეულის გარდა განეკუთვნება მარცვლეულ-პარკოსნები, ხორცი, რძე და მისი პროდუქტები, თევზეული, შაქარი, მცენარეული ზეთები. რაც შეეხება კარტოფილს, კვერცხს, ხილსა და ბოსტნეულს, აგრეთვე სხვადასხვა სახის სასმელებს, ისინი ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების განხილვის საგანია, რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულ ექვს ძირითად პროდუქტთან ერთად.

70-იან წლებში ბევრ განვითარებად ქვეყანაში, განსაკუთრებით აზიაში სასურსათო პროდუქტების წარმოების გადიდების ექსტენსიურმა მეთოდებმა ამოწურეს თავისი შესაძლებლობები. ამ გარემოებამ სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიაში ბევრ ქვეყანას განახორციელებინა სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის პოლიტიკა. ამის შესახებ მიუთითებდა მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტი პალ შარენი [16, გვ. 23].

დროული და გამართლებული იყო 1996 წლის ნოემბერში გამართული, უმაღლესი დონის შეხვედრა რომში, რომელიც საერთაშორისო სასურსათო პრობლემის საკითხებს მიეძღვნა. ჩვენ ქვემოთ სრულად მოგვყავს რომის შეხვედრაზე სახელმწიფო მეთაურების მიერ მიღებული დეკლარაცია, რომელიც ჩვენი აზრით მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს სასურსათო პრობლემის, სასურსათო პოლიტიკის წარმართვაზე უახლოეს წლებში:

„ჩვენ, ქვეყნებისა და მთავრობების მეთაურები, ან ჩვენი წარმომადგენლები შევიკრიბეთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის მოწვევით, სასურსათო პრობლემების ირგვლივ გამართულ უმაღლესი დონის შეკრებაზე, კვლავ ვადასტურებთ ყოველი ადამიანის უფლებას მიიღოს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და სრულფასოვანი საკვები პროდუქტები, რაც შეესაბამება ადეკვატური კვებისა და სიცოცხლის უფლების ძირითად პრინციპებს.

მარცვლეულის ბალანსი

	აბსოლუტური სიდიდეები			ზრდის ტემპი %-ში	
	1961- 1965წ.წ.	1973- 1977წ.წ.	1987- 1991წ.წ.	1961-65წ-დან 1973-1977წ-მდე	1973-1977წ-დან 1991წ-მდე
	მოსვლიანობა ც/ჰა				
ყველა განვითარ. ქვეყანა	11.0	13.5	18.5	1.7	2.3
აზია	11.5	14.6	21.1	2.0	2.7
აფრიკა	7.6	8.2	10.5	0.7	1.8
ამერიკა	13.2	16.4	20.8	1.8	1.7
ახლო აღმოსავლეთი	11.1	13.1	16.5	1.4	1.7
შედარებისათვის: სსრკ	10.2	15.4	18.5	3.5	1.3
რუსეთი	9.8	14.4	17.1	3.3	1.2
	წარმოება მლნ ტ.				
ყველა განვითარ. ქვეყანა	297.8	406.7	597.8	2.6	2.8
აზია	171.3	232.3	358.1	2.6	3.1
აფრიკა	36.8	44.0	64.1	1.5	2.7
ამერიკა	53.1	81.0	105.9	3.6	1.9
ახლო აღმოსავლეთი	36.6	49.1	69.6	2.5	2.5
შედარებისათვის: სსრკ	122.9	187.9	197.6	3.6	0.4
რუსეთი	72.8	106.1	96.4	3.2	-0.7
	მოხმარება მლნ ტ.				
ყველა განვითარ. ქვეყანა	308.5	437.1	649.7 ²	3.0	3.0 ³
აზია	178.7	2455.1	359.0 ²	2.7	2.9 ³
აფრიკა	38.8	51.2	77.0 ²	2.3	3.2 ³
ამერიკა	51.0	81.6	115.2 ²	4.0	2.73
ახლო აღმოსავლეთი	40.1	58.7	97.9 ²	3.2	4.0 ³
შედარებისათვის: სსრკ	120.8	197.3	235.1 ²	4.2	1.3 ³
რუსეთი					
	წარმოება მოხახლეობის 1 სულზე კგ.				
ყველა განვითარ. ქვეყანა	202.8	208.0	218.0	0.2	0.3
აზია	202.2	208.9	236.3	0.3	0.9
აფრიკა	150.1	130.5	126.1	-1.2	-0.2
ამერიკა	227.8	253.8	241.2	0.9	-0.4
ახლო აღმოსავლეთი	261.8	271.7	255.0	0.3	-0.5
შედარებისათვის: სსრკ	546.0	738.3	687.8	2.5	-0.5
რუსეთი	595.7	790.0	654.0	2.4	-1.3
	თეთუზრუნველყოფის ხარისხი %				
ყველა განვითარ. ქვეყანა	96.5	93.0	89.4 ²	-0.3	-0.3 ³
აზია	95.9	94.8	96.4 ²	-0.1	0.1 ³
აფრიკა	94.8	85.9	79.9 ²	-0.8	-0.6 ³
ამერიკა	104.1	99.3	92.4 ²	-0.4	-0.5 ³
ახლო აღმოსავლეთი	91.3	83.6	67.9 ²	-0.7	-1.6 ³
შედარებისათვის: სსრკ	101.7	95.2	86.6 ²	-0.5	-0.7 ³
რუსეთი					

ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს პოლიტიკურ ნებას და ჩვენს საერთო და ეროვნულ ვალდებულებებს, რათა მიღწეულ იქნას სასურსათო უსაფრთხოება ყველასათვის და გაგრძელდეს შიმშილის აღმოფხვრისათვის მიმართული ღონისძიებები ყველა ქვეყანაში, ვისწრაფით რა, არა უგვიანეს 2015 წლისა, ორჯერ შევამციროთ მოშიმშილეთა რიცხვი, თანამედროვე დონესთან შედარებით.

ჩვენ დაუშვებლად ვთვლით, რომ მსოფლიოში 800 მლნ ადამიანზე მეტი შიმშილობს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, არ იღებენ ძირითადი სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის შესაბამისი ოდენობის საკვებ პროდუქტებს. ასეთი სიტუაცია მიუღებელია. სურსათის მიწოდება მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ სურსათზე ხელმისაწვდომობა, სურსათის შესასყიდ ფასებთან საოჯახო მეურნეობებისა და ეროვნული შემოსავლების შეუსაბამობა, მოთხოვნა-მიწოდების არასტაბილურობა, აგრეთვე სტიქიური უბედურებები და ანთროპოგენული კატასტროფები აფერხებენ ძირითადი სასურსათო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სასურსათო უსაფრთხოების არარსებობას და შიმშილის პრობლემებს გლობალური განზომილება გააჩნიათ და დიდია ალბათობა მათი შენარჩუნების და მნიშვნელოვანია ზრდის ალბათობა ზოგიერთ რეგიონში, თუ არ იქნება მიღებული სასწრაფო, გადამჭრელი და შეთანხმებული ზომები, მსოფლიოს მოსახლეობის მოსალოდნელი ზრდისა და ბუნებრივ რესურსებზე მზარდი დატვირთვის გათვალისწინებით.

ჩვენ კვლავ ვადასტურებთ, რომ მშვიდობიანი, სტაბილური და სასურველი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება წარმოადგენს აუცილებელ გარდამავალ საფუძველს, რაც მისცემს საშუალებას სახელმწიფოებს მთავარი ყურადღება დაუთმონ სასურსათო უსაფრთხოებას და სიღარიბის აღმოფხვრას. მდგრადი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია დემოკრატია, ადამიანის ყველა უფლებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა და დაცვა, განვითარების უფლების ჩათვლით, აგრეთვე მამაკაცების და ქალების თანასწორი და სრული მონაწილეობა.

სიღარიბე სასურსათო უსაფრთხოების განუხორციელებლის ძირითადი მიზეზია, ხოლო თანმიმდევრული პროგრესი სიღარიბის აღმოფხვრის საქმეში გადამწყვეტი ფაქტორია სურსათზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს კორუფცია, კონფლიქტები, ტერორიზმი და გარემო პირობების გაუარესება. სურსათის წარმოების ზრდა, კვების ძირითადი პროდუქტების ჩათვლით, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ხარჯზე უნდა წარიმართოს, უგულვებელყოფილი უნდა იქნეს, განსაკუთრებით ინდუსტრიულ ქვეყნებში, წარმოების და მოხმარების არამდგრადი მოდელები, უსწრაფესად უნდა დასტაბილურდეს პლანეტის მოსახლეობის რაოდენობა. ჩვენ ვცნობთ ქალების მნიშვნელოვან როლს სასურსათო უსაფრთხოების მიღწევის საქმეში, განსაკუთრებით

განვითარებადი ქვეყნების სასოფლო რეგიონში, აგრეთვე ქალთა და მამაკაცთა უფლებების გათანასწოების აუცილებლობას. პროორი-ტეტული უნდა იყოს სასოფლო რაიონების აღორძინება, რათა ამაღლდეს სოციალური სტაბილურობა და დაბალანსდეს სოფლიდან ქალაქში მიგრაციის დონე, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში განსაკუთრებით მაღალია ამჟამად.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ, ამჟამად და მომავალში სასურსათო უსაფრთხოების მიღწევისათვის, ჩვენი ვალდებულების სასწრაფო შესრულების აუცილებლობას. სასურსათო უსაფრთხოების დამყარება კომპლექსური ამოცანაა, რომლის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა, პირველყოფლისა, ცალკეული ქვეყნების მთავრობებს ეკისრებათ. მათ უნდა განავითარონ სასურველი გარემო პირობები და გაატარონ პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობას, აგრეთვე სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, სამართლიანობასა და სქესთა თანასწორობას. ჩვენ უდრმეს შეშფოთებას გამოვთქვამთ შიმშილობის შენარჩუნების გამო. ამგვარ მასშტაბებში იგი საფრთხეს წარმოადგენს როგორც ცალკეული ქვეყნებისათვის, აგრეთვე თვით საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. სასურველია მთავრობების თანამშრომლობა გლობალურ მასშტაბებში ერთმანეთთან, გაეროს ორგანიზაციებთან, საფინანსო დაწესებულებებთან, სამთავრობოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივ და კერძო სექტორებთან, იმ პროგრამების მიხედვით, რომელიც მიმართულია ყველასათვის სასურსათო უსაფრთხოების მიღწევისაკენ.

სურსათით მომარაგება არ უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის საშუალებად. ჩვენ ვადასტურებთ საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოლიდარობის მნიშვნელობას, აგრეთვე თავის შეკავების აუცილებლობას იმ ცალმხრივი ზომების გატარებისაგან, რომლებიც არ შეესაბამება გაეროს წესდებსა და საერთაშორისო კანონმდებლობას და საფრთხის წინაშე აყენებს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოებას.

ჩვენ ვცნობთ ისეთი პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტირებას, - ადამიანური რესურსების განვითარებაში, გამოკვლევებსა და ინფრასტრუქტურაში, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევის მიზნით. ჩვენ უნდა წავახალისოთ სამუშაო ადგილების და შემოსავლების გაჩენა და ხელი შევეწყოთ საწარმოო და საფინანსო რესურსების სამართლიან განაწილებას. ჩვენ ვეთანხმებით, რომ ვაჭრობა არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი სასურსათო უსაფრთხოების მიღწევისათვის. ჩვენ თანახმა ვართ მივიღოთ სასურსათო და საერთო სავაჭრო პოლიტიკას, რომელიც წახალისებს მწარმოებლებს და მომხმარებლებს რაციონალურად და ეკონომიკურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული რესურსები.

ჩვენ ვაღიარებთ სოფლის მეურნეობის, თევზის სარეწების, სატყეო მეურნეობისა და მაღალი ან დაბალი პოტენციური შესაძლებლობების მქონე ოლქებში მდებარე სასოფლო რაიონების

მდგრადი განვითარების მნიშვნელობას. ჩვენ ვცნობთ ფერმერების, მეთევზეების, მეტყვევების, ადგილობრივი მოსახლეობის და მათი გაერთიანებების, აგრეთვე, სასურსათო სექტორში დასაქმებული ყველა ადამიანის და მათი ორგანიზაციების ძირითად როლს, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევის საქმეში. ჩვენი მდგრადი განვითარების პოლიტიკა ხელს შეუწყობს შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულ გამოყენებას და ადამიანთათვის, განსაკუთრებით ქალებისთვის, სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების სამართლიან განაწილებას, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის მომსახურების მიღების გაიოლებას, ახალგაზრდობისათვის შესაძლებლობების გაფართოებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ, რომელთაც არ ძალუძთ აუცილებელი რაოდენობის საკვები პროდუქტების წარმოება და უზრუნველყოფა, მათი ჩათვლით, რომლებიც დაზარალებულნი იქნებიან, სამოქალაქო უწყისრივობების ეკოლოგიასთან დაკავშირებული სტიქიური უბედურებების ან კლიმატური ცვლილებების შედეგად. ჩვენ ვაცნობიერებთ უსწრაფეს ქმედებათა აუცილებლობას, რომლებიც მიმართული იქნებიან სასოფლო-სამეურნეო მავნებლების, გვადვის, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის, გაუდაბნოების, თევზის უზომო ჭერის და ბუნებაში ბიოლოგიური მრავალფეროვნების ეროზიის წინააღმდეგ.

ჩვენ აღსავსენი ვართ გადაწყვეტილებით, მივიღოთ ზომები ტექნიკური და ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის, მათი ოპტიმალური გამოყენებისათვის და ყველა წყაროდან გამოყოფისათვის, განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალებიდან განთავისუფლების ჩათვლით, სასურსათო უსაფრთხოების მდგრადი პოლიტიკის გატარების მიზნით სახელმწიფოთა ქმედების გასაძლიერებლად.

ვართ რა დარწმუნებულნი, რომ სასურსათო უსაფრთხოების მრავალწახნაგოვანი ხასიათი სახელმწიფოთა შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვს, აგრეთვე მოითხოვს საერთაშორისო გაერთიანების ეფექტურ ღონისძიებებს, რომლებიც ავსებენ ან აძლიერებენ სახელმწიფოთა ქმედებას, ჩვენ ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

- ჩვენ ხელს შეუწყობთ სასურველი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარების დამყარებას, რომლის მიზანია სიღარიბის აღმოფხვრა და მდგრადი მშვიდობისათვის უკეთესი პირობების შექმნა, რაც დაფუძნებული იქნება ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მონაწილეობაზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდგრადი სასურსათო უსაფრთხოების მიღწევისათვის;
- ჩვენ გავატარებთ პოლიტიკას, რომლის მიზანი იქნება სიღარიბისა და უთანასწორობის აღმოფხვრა ყველასათვის და ყოველთვის საკმარისი სასურსათო კალათით და

უზრუნველყოფთ უსაფრთხო კვების შესაბამის სურსათზე ფიზიკურ თუ ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას;

- ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მდგრადი პოლიტიკით და პრაქტიკით, დაბალი ან მაღალი პოტენციური შესაძლებლობების მქონე სასოფლო რაიონებში სასურსათო, სასოფლო-სამეურნეო, თევზჭერის და სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის, რადგან აღნიშნული უმთავრესია სურსათის შესაბამისი მომწოდებლებისათვის მეურნეობის, სახელმწიფოს, რეგიონის და მსოფლიოს დონეზე. ვიბრძობთ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მავნებლების, გვალვის და გაუდაბნოების წინააღმდეგ.
- ჩვენ არ დავიშურებთ ძალისხმევას, რომ სასურსათო, სასოფლო-სამეურნეო და საერთო-სავაჭრო პოლიტიკამ უზრუნველყოს საყოველთაო სასურსათო უსაფრთხოების დამყარება, სამართლიანი და ბაზარზე ორიენტირებული მსოფლიო სავაჭრო სისტემის მეშვეობით;
- ჩვენ არ დავიშურებთ ძალისხმევას იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ან მზად ვიყოთ სტიქიური უბედურებებისა და სავანგებო ანთროპოგენური სიტუაციებისათვის, აგრეთვე მზად ვიყოთ დროებითი და სასწრაფო სასურსათო მოთხოვნილებებისათვის, რათა ხელი შევეწყობთ აღდგენას, რეაბილიტაციას და განვითარებას, მომავალში სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას;
- ჩვენ ხელს შევეწყობთ საზოგადოებრივი და კერძო ინვესტიციების ოპტიმალურ გამოყოფას ადამიანური რესურსების საკეთილდღეოდ, სურსათით მდგრადი მომარაგებისათვის, აგრეთვე დაბალი და მაღალი პოტენციალის მქონე სასოფლო რაიონების განვითარებისათვის;
- ჩვენ შევასრულებთ, გავაკონტროლებთ და ვიხელმძღვანელებთ მოქმედებათა ამ გეგმით, ყველა დონეზე საერთაშორისო გაერთიანებასთან თანამშრომლობით;

ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს ქმედებათა და სურსათის პრობლემების ირგვლივ უმაღლესი დონის მსოფლიო შეხვედრის მოქმედებათა გეგმის მხარდაჭერის შესახებ“

ლიტერატურა

1. ეკონომიკური თეორია სახელმძღვანელო. გ. ადგიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით. თბილისი, „სიახლე“, 1998.

2. ჰ. კოლუაშვილი, ჰ. გიორგაძე, ბ. რამიშვილი – სასურსათო პრობლემიდან – სასურსათო უსაფრთხოებამდე. თბილისი, 1999.
3. ალექს მაკეოლი (ა.შ.შ.) სასურსათო უსაფრთხოება და სოფლის მეურნეობის ამოცანები XXI-ე საუკუნეში (ინგლისურად). საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, აგრარული მეცნიერების პრობლემები, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1999. გვ 13.
4. ნ. მოდეძაძე, ზ. გარაყანიძე. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბილისი, 1998.
5. დ. ძნელაძე მსოფლიო ეკონომიკა თბილისი, 1994.
6. ნ. ქარქაშაძე მსოფლიოს სოფლის მეურნეობა. თბილისი, „განათლება“ 1993.
7. Е.С.Баженова. А.В. Островский –Население Китая. Москва, “Мысль” 1991.
8. Глобальная экологическая проблема. Ответ. редакторы: Г. Н. Морозов и Р.А. Новиков. Москва, “Мысль” 1988
9. Жизненные ресурсы человечество. Москва, 1961.
10. Продовольственная проблема в современном мире. Отв. редакторы: В.А. Мартынов, В.А. Морозов. Москва, изд. “Наука”
11. ОТТО Рюле. Хлеб для шести миллиардов. издательство. “Прогресс” Москва, 1961.
12. А.Е. Сизов. Экономические и социальные аспекты продовольственной проблемы в современной Южной Азии Москва, изд. “Наука” 1985
13. Г. А. Фактор В петле голода: трагедия развивающихся стран. и Москва, 1969.
14. Фей СяоТун – Китайская деревня глазами этнографа. Москва, 1989.
15. „Третий мир“ и судьбы человечества. Москва, изд. “Мысль” 1990
16. Пал Шаркань. Мировая продовольственная проблема. пер. с Венгерского. Москва, “Экономика” 1982.
17. Производство и потребление продовольствия в развивающихся странах. журнал „Мировая экономика и международные отношения“ №4-1993.
18. Ronald D. Knulson. J.B. Penn, William T. Boehm. Agricultural and Food Policy. Prentice Hall, Engewood new Jersey
19. Frank Ellis. school of Deveolpment Studies of East Aglia. Agricultural Policies in Developing countries Cambridge. University press. 1996
20. 1985 FAO. Production Yeabook, Rome 1986 p. 271-272. 1986 FAO Production Yearbook, Rome, 1988 p. 291-292.
21. World Economic Survey. 1993. Curent Trendsand Policies in the World Economy United Nations, N.Y. 1993. p. 151

Глобальные аспекты продовольственной безопасности

გიორგაძე გამლეთ
380013 თბილისი-დიგომი
გერჯინური სახტარული
საგერჯინური უნივერსიტეტი

Резюме: Современный этап социально-экономического развития мирового сообщества характеризуется сложностью продовольственной проблемы. Все страны мира стремятся обеспечить свой народ научно обоснованными физиологическими нормами питания. Продовольственная проблема для всех стран принадлежит категории экономических и политических проблем.

Это проблема особенно остро стоит в развивающихся странах. По официальным расчетам ООН в этих странах 785 млн. человек ролучал в ден менее в1000 к.калории, емкостью продуктов питания, что является серьезной опасностью для распростраения хронического голода вмире.

